Ն 45.



რექედასის საქართველოს ცენტრალური კომი-
ტეტის ყოველთვიური ორგანო

# ვებრძოლოთ საერთაშორისო ფაშიზმს

ძლიერდება ბრძოლა საბჭოების გასამარჯვებლად მთელს მსოფლიოში.

ეს ბრძოლა ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო გამწვავებულ ხასიათს ღებულობს. ყველა მებრძოლი კლასები, თავიანთი ძალთა მობილიზაციით, გადადიან გადამწყვეტ იერიშზე.

ათასი აშკარა დამამტკიცებელია უკანასკნელად ჩატარებული არჩევნები გერმანიაში.

თვით კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ მოქცეული არჩევნები გერმანიის რეიხსტაგში არ ჩატარებულა ხელჩართული სისხლის მღვრელი შეტაკებების გარეშე. ამ არჩევნების დროს გერმანიის პროლეტარიატმა ბევრი სისხლი დაღვარა.

ამასვე ვხედავთ ჩვენ სხვა ბურჟუაზიულ „კონსტიტუციონურ" სახელმწიფოებში, რომ არ ვილაპარაკოთ ისეთ კოლონიალურ ქვეყნებზე, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, სადაც რევოლიუციონერთა სისხლი მდინარესავით მოჩქეფს.

ასეული ათასი რევოლიუციონერი იღუპება ბარიკადებზე, სახრჩობელებზე, ქუჩებში — ხელჩართულ ბრძოლების დროს, ციხე-გადასახლებაში, მრავალი მილიონი მათი ოჯახის წევრები რჩებიან ღია ცის ქვეშ სასიკვდილოთ განწირულნი.

ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქენი, საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლნი და სოციალიზმის მშენებელნი, ყოველთვის ვიყავით, ვართ და ვიქნებით ყველა დევნილთა, დამონავებულთა, დაბეჩავებულთა, რევოლიუციისათვის თავდადებულ ყველა მებრძოლთა მეგობრები, კაპიტალისაგან გასანთავისუფლებლად და საერთაშორისო რევოლიუციის მოსახლოვებლად.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და რევოლიუციონურმა გლეხობამ არა ერთხელ დაამტკიცა ეს მეგობრობა საქმითაც.

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია პირველად ჩაისახა ჩვენში,— საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში.

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა პირველი გამოეხმაურა მებრძოლ რევოლიუციონერთა ყიჟინას და ჩამოაყალიბა საქართველოში რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს ორგანიზაცია. ეს იყო შვიდი წლის წინად.

იმ დღიდან, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხკაცობა დაუხარებლად და ძმური თანაგრძნობით უწევს თავის მცირედ წვლილს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგებს, კაპიტალის ციხე-ჯურღმულებში მოქცეულ რევოლიუციონერებსა და მათ უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს.

ამ წლების განმავლობაში სოციალისტურმა საქართველომ მიიღო ათეული პოლიტემიგრანტი, რომლებსაც თავიანთ სამშობლოში მოელოდა სახრჩობელა, კატორღა და მრავალი წლით საპატიმროებში მოქცევა.

საქართველოს რემედასი ყველა ამ ამხანაგებს უწევდა, უწევს დღესაც და მომავალშიაც გაუწევს ერთსულოვან ძმურ დახმარებას.

საქართველოს მუშათა კლასს და რევოლიუციონურ გლეხკაცობას სიამაყით შეუძლია გადახედოს განვლილ გზას, ვინაიდან რევოლიუციისათვის მებრძოლთა ძმური დახმარების საქმეში მათ დაიმტკიცეს საერთაშორისო რევოლიუციის ღირსეული ჯარისკაცის სახელი.

კაპიტალისტებთან გადამწყვეტი შეტაკების დროს ბრძოლის ველად ეცემა მრავალი ათასი სიცოცხლით სავსე რევოლიუციონერი. მათი მშიერ-მწყურვალე, ბორკილებში ჩაჭედილი თანამებრძოლი ძმები იღუპებიან კაპიტალის ციხე-სიმაგრეებში.

საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლი ამხანაგები მოგვიწოდებენ ჩვენ ძმური დახმარებისაკენ.

საქართველოს მშრომელო მოსახლეობავ!

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პერიოდში კიდევ უფრო ძლიერად გავშალოთ ბრძოლა საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ, კაპიტალის ტყვეებისა და მათი ოჯახის წევრთა დასახმარებლად.

გაუმარჯოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ძმურ დახმარებას!

რემედასის დეკადის განმავლობაში 15-დან—25 ოქტომბრამდე, ყველანი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად.

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

წინ, საერთაშორისო ოქტომბრის გამარჯვებისაკენ!

**რემედასის დეკადის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.**

რემედასის საქ. ც. კ-ს თავმჯდომარე:

**შამშე ლეჟავა.**

# საუკეთესო რაიონის დაჯილდოება

ოქტომბრის 15-დან 25-მდე საქ. რემედასი ატარებს რემედასის „ათდღიურს". ამ ათდღიურის ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ახალ წევრების ჩაწერის მეშვეობით რემედასის ზრდა.

პოლიტ-აღმზრდელობითი და ინტერნაციონალური მუშაობის გაცხოველება ძირითად უჯრედებში.

ადგილობრივ ორგანიზაციების საზღვარგარეთ საშეფო საპატიმროებთან კავშირის გაძლიერება და განმტკიცება.

ფართე აგიტაციის ჩატარება „ხუთწლედის ოთხ წელიწადში" შესრულების და რემედასის ყველა წევრების სოციალისტურ აღმშენებლობის მუშაობაში აქტიურად ჩაბმის შესახებ.

რემედასის ორგანიზაციის მატერიალურ საფუძვლების გაძლიერება და კაპიტალის პატიმრებისათვის დახმარების აღმოჩენა.

იმ მიზნით, რომ საქართველოს რემედასის ყველა ორგანიზაციების და მისი წევრების ყურადღება მიპყრობილი იყოს ზემოხსენებულ ამოცანების ნაყოფიერად შესრულებაზე—რემედასის საქ. ც.კ.-ის პრეზიდიუმი ადგენს:

იმ ხუთ რაიონისათვის, რომლებიც წარმატებით და საუკეთესოდ ჩაატარებენ მიმდინარე წლის „რემედასის დეკადა"-ს, დაწესდეს ხუთი ჯილდო—ხუთი ტრაქტორი „ინტერნაციონალი"-ს სისტემისა.

ზემოხსენებული ტრაქტორები უსასყიდლოთ უნდა გადაეცეს რემედასის სახელობის იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც არსებობენ გამარჯვებულ და დაჯილდოებულ რაიონის ტერიტორიაზე.

პირველ ორ რაიონისათვის, რომლებიც რემედასის დეკადის ჩატარებაში საუკეთესო შედეგს მოგვცემს, დაწესდეს დამატებითი პრემია—ერთი წლის განმავლობაში ტრაქტორისტის რემედასის ც. კ.-ს ხარჯზე შენახვით.

**რემედასის საქ. ც. კ.-ის თავმჯდომარე: შამშე ლეჟავა.**

წლიწადი მეშვიდე

№ 10-11
ოქტომბერი-ნოემბერი
1930

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# რაზმი

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5, II-რე სართ.

ტელ. 17-42.

## მემარჯვენე ოპორტიუნისტების „მემარცხენე“ ნაფლეთები

მემარჯვენე გადახრის კულაკური შინაარსი პარტიამ საკმაოდ ცხადჰყო. პარტიის აქტიურმა ბრძოლამ მემარჯვენეების წინააღმდეგ საბოლოოდ გაუტეხა სახელი მათ იდეებს. პარტიამ, რომელიც თანმიმდევრობით იბრძოდა ორ ფრონტზე და სოციალისტური შეტევის გზას ანთავისუფლებდა მემარჯვენე და „მემარცხენე“, ოპორტიუნისტებისაგან, არაჩვეულებრივად ასწია თავისი ავტორიტეტი მასებში და კიდევ უფრო შეამჭიდროვა თავისი რიგები ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ. სავსებით ცხადია, რომ ასეთ პარტიაზე, რომელსაც ორ მილიონამდე წევრი ჰყავს და რომელიც გამობრძმედილია სასტიკ ბრძოლებში კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგ, ასეთ პარტიაზე აშკარად შეტევა შეუძლებელია. ამაში საკმაოდ დარწმუნდენ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები. სწორედ ამიტომ მიმართავენ ისინი ეხლა ახალ მეთოდებს პარტიის წინააღმდეგ ბრძოლში.

მემარჯვენე ოპორტუნისტები ვერ ბედავენ აშკარად გამოსვლას ლენინური პარტიის წინააღმდეგ და თვალთმაქცობის და პარტიის მოტყუების მეთოდებს მიმართავენ. ისინი მზად არიან გამოიყენონ მემარცხენე ფრაზეოლოგია თავიანთი აშკარად მემარჯვენე შეხედულებების დასაფარავად. მემარჯვენე „მომემარცხენო“ უპრინციპო ბლოკის ხელმძღვანელის სირცოვის წიგნაკი წარმოადგენს ამ ბლოკის პლატფორმას, რომელიც სავსებით ეთანხმება აშკარად მემარჯვენე ოპორტუნისტების პლატფორმის ძირითად დებულებებს, თუმცა მასში ცოტა არ არის კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკიზმის არსენალიდან აღებული ულტრარევოლიუციონური ფრაზები.

სირცოვი, უწინარეს ყოვლისა, ილაშქრებს სამეურნეო მშენებლობის დეფექტების წინააღმდეგ და ამ დეფექტების წინააღმდეგ და ამ დეფექტებს სამეურნეო კრიზისად სახავს. როგორც უვარგისი „მემარცხენე“ ოპორტიუნისტი სტენი ცილს სწამებდა პარტიას და ბრალს სდებდა მას „მცოცავ ემპირიზმში“, ასევე მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკის ხელმძღვანელი ბრალს სდებს პარტიას სამეურნეო მშენებლობის სრულ უგეგმობასა და გათვალისწინების პოლიტიკის უქონლობა.

„ჩვენ თვითმდინარეობით. — სწერს იგი — საკმაოდ ღრმად და უწესრიგოდ შევედით იმ ეკონომიურ მოვლენათა სფეროში, რომლებზედაც ამჟამად მთელი ქვეყანა შიშით შეპყრობილი მსჯელობს, კერძოდ საკმაოდ ინტენსიურად. თუმცა არა სწორად მსჯელობენ რიგებშიაც“.

ოპორტიუნისტებისათვის არ არსებობს ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც აქვს მუშათა კლასს სამეურნეო ცხოვრებაში გეგმიანობის შეტანის მხრით. ისინი არაფრად არ აგდებენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის წარმატებული სამეურნეო განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ჩვენ ვანხორციელებთ გათვალისწინების პოლიტიკას და „ფატალისტურად კუდში არ მივჩანჩალებდით მოვლენებს“, როგორც ამას სირცოვი ამტკიცებს. მემარჯვენე ოპორტუნისტულ ლაყბობას წარმოადგენს იმის მტკიცება, ვითომ ჩვენი მრეწველობა გასულ წელში მუშაობდა „შეფერხებით და წობიძგებით“. Эй, дубинушка ухнем“-ის პრინციპის მიხედვით, რომ „უწყვეტის გადახვევები ჩვენში იზრდება ამ გადახვევების წინააღმდეგ ღონისძიებეთა და ბრძოლის პროპორციულად“. ახალი მემარჯვენე-„მომემარცხენო“ ბლოკის ბელადი, რომელიც გადაჭარბებულ ერთგულებას იჩენს მრეწველობის გეგმიანობის პრობლემების გადაჭრის სფეროში, მუშათა კლასის უბოროტესი მტრის ენით აცხადებს, რომ „გლეხებიც კი, რომლებიც კოლმეურნეობაში შევიდნენ, ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას პროლეტარული სახელმწიფოს გეგმიანობის შესახებ“. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ასეთი ცილისწამება ხელსაყრელია მხოლოდ პროლეტარული დიქტატის მტრებისათვის?

სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე - „მემარცხენე“, ბლოკი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს სახელი გაუტეხოს პარტიის სამეურნეო პოლიტიკას და ამისთვის არ ზოგავს მუქ ფერადებს, მზად არის თავისი თავი დასახოს მუშათა კლასის ინტერესების დამცველად. „მუშათა ცრუ სიყვარული“, როგორც ხერხი ახალი არ არის ჩვენი პარტიის ისტორიაში.

ეს ხერხი მთლიანად ტროცკისტებისა და აშკარად მემარჯვენე ოპორტიუნისტებისაგან არის ნასესხები. მემარჯვენე - „მემარცხენე“ ბლოკი ცდილობს დემაგოგიურად გამოიყენოს მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენების განწყობილება. მემარჯვენე - „მომემარცხენო“ ბლოკი სირცოვის სახით ცილისწამების მიზნით ამტკიცებს, რომ „ბიუროკრატიზაცია, რომელმაც უკანასკნელ დროს ფართო ხასიათი მიიღო, ავტომატიურად ჰბოჭავს მუშების და სამეურნეო მუშაკების მთელი ჯგუფების ინიციატივას“. სირცოვმა დაჰკარგა ზომიერების გრძნობა და უცერემონიოდ ივიწყებს იმ უდიდეს მიღწევებს, რომლებიც აქვთ ჩვენს პარტიას და მუშათა კლასს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, სახელმწიფო აპარატის გაიაფებისა და გამარტივებისათვის ბრძოლაში, რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანებთან აპარატის შეფარდების საქმეში. მთელმა ქვეყანამ იცის (იციან ჩვენმა მეგობრებმაც და ჩვენმა მტრებმაც). რომ გასული წელი იყო მუშათა მასების უდიდესი შემოქმედების და შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითო განვითარების წელი.

არაფრით არ განსხვავდება ფორმით და შინაარსით კვლავ ტროცკისტული არსენალიდან ნასესხები მტკიცება იმის შესახებ, ვითომ მუშათა კლასის მატერიალური

მდგომარეობა „თანდათან უარესდება“. სირცოვს და კომპანიას არ სჯერა „ინდექსების“, ისინი საკუთარ „შთაბეჭდილებაზე“ ეყრდნობიან და ანგარიშს არ უწევენ ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ პარტიის უდიდეს მიღწევებს მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. თავიანთ მოჩვენებით ზრუნავს რეალური სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ მემარჯვენე - „მომემარცხენო“ ბლოკის ოპორტუნისტები თვითონვე ააშკარავებენ, როცა სამრეწველო საქონლის ფასების გადიდებას მოითხოვენ. ეს ხომ ყველასთვის ცხადია, რომ აუცილებლად რეალური ხელფასის დაცემას გამოიწვევს. დასკვნა ნათელია. ისინი იმიტომ მიმართავენ დემაგოგიას მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის „თანდათან გაუარესების“ შესახებ, რომ სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენების თვალში და უკმაყოფილება ჩამოაგდონ მუშათა კლასსა და მის ავანგარდებს შორის.

ტროცკისტული ფრაზეოლოგია სამუშაო ხელფასის, ბიუროკრატიზაციის, ინიციატივის შებოჭვის და სხვათა შესახებ იმისათვის დასჭირდა სირცოვს და მის მიმდევრებს, რომ დაჰფარონ თავიანთი ნამდვილად მემარჯვენე „პორაჟენცული“ და კაპიტულიანტური პოზიციები.

პარტია საკმაოდ გაიზარდა და იგი მიხვდება, რომ ლაპარაკი უგეგმობისა და დეფექტების შესახებ ჰფარავს მემარჯვენე ოპორტუნისტულ მტკიცებას გადაჭარბებულ ტემპებზე და სამეურნეო ამოცანების გადაჭრის შეუძლებლობაზე. ვინაიდან „ჩვენ ყველა ერთ-ორი თავით დაბლა ვდგევართ იმ ამოცანებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს“, მტკიცებას საკოლმეურნეო მშენებლობის სისტემისა და გადაფასებაზე. ოპორტუნისტებს არა სწამთ, რომ „ჩვენს ქვეყანაში უკვე მოხდა ისეთი ეკონომიური გარდატეხა, რომელიც სრულ საბუთს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ჩვენ შევძელით დაგვეყენებია სოფელი კოლექტივიზაციის ახალ გზაზე და მით უზრუნველგვეყო სოციალიზმის წარმატებით მშენებლობა არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც“ (სტალინი). სკეპტიკოსები ოპორტუნისტული ბანაკიდან კიდევ დაინახავენ, რას მოგვიტანს მესამე „შემოწმების“ წელი. მათ კიდევ არ სჯერათ კოლმეურნეობების სიმტკიცე. ეს არაფრით არ განირჩევა ბუხარინის ძველი სიმღერისაგან, რომ კოლმეურნეობები — შორეული მომავლის საქმეა.

პარტიამ მთელი მუშათა კლასის სრული დახმარებით თავის დროზე სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ტროცკიზმს, რომელიც დროებითი სიძნელეებზე სპეკულაციით ცდილობდა უკმაყოფილების ჩამოგდებას პროლეტარიატისა და მისი პარტიის შორის; პარტიამ გამოაშკარავა მემარჯვენე ოპოზიციის კულაკური შინაარსი, რომელიც ყველაზე უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს ამჟამად და მემარჯვენე გადახრის შეხედულებების საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად ალიარა; პარტია განმანადგურებელ ბრძოლას აწარმოებს მემარჯვენე - „მომემარცხენო“ უპრინციპო ბლოკის მემარჯვენე ფრაქციული პოზიციებიდან მიიტანოს პარტიაზე იერიში „მემარცხენე“ ფრაზებით.

„პრავდა“, 12 ნოემბერი.

## რემედასის მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში

ზედმეტია მტკიცება იმისა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში რემედასის აქტიურ მონაწილეობას. ეს ნათელი უნდა იყოს, არა მარტო რემედასის აქტივის, არამედ ყოველი მისი უბრალო წევრისათვისაც კი.

გასული წლების მაგალითების მიხედვით ჩვენი ძირითადი ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგენ ამ კამპანიის მოსამზადებელ მუშაობას, რათა მათი მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნეს ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა წარსულში.

ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში იბეჭდება ამ კამპანიაში რემედასის ორგანიზაციების მონაწილეობის ვრცელი გეგმა. ამიტომ აქ არ შეუდგებით მისი დეტალურად განხილვასა და ახსნა-განმარტებას. ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ამ მონაწილეობის ზოგიერთ ახალ მომენტებზე.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა გვახსოვდეს. რომ საბჭოების გადარჩევის კამპანიას აქვს უაღრესად ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამიტომ, როგორც მოსამზადებელი, ისე თვით კამპანიის ჩატარების დროს წარმოებულ ახსნა-განმარტებისა და საუბრებისა უნდა გვახსოვდეს, რომ პროლეტარული დიქტატურის ორგანოები—საბჭოები წარმოადგენენ საერთაშორისო რევოლიუციონურ დროშას და ფორმა, რომელშიაც უნდა მოექცეს პროლეტარული დიქტატურა ყველა ქვეყნებში.

ამ გარემოების საილიუსტრაციოთ ჩვენ შეგვიძლია მოვიგონოთ რევოლიუციები უნგრეთსა და ბავარიაში; აქვე უნდა დავასახელოთ ჩინეთის თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობის მაგალითები; ყველა ამ ქვეყნებში რევოლიუციონური ხელისუფლების ჩამოყალიბება ლებულობდა საბჭოების სახეს.

ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ საბჭოების გამაგრებით და მასში საუკეთესო ადამიანების გაგზავნით ჩვენი ბელადის—კომუნისტური პარტიის ლოზუნგების ირგვლივ მტკიცედ დარაზმვითა და არჩევნების ნაყოფიერად ჩატარებით—ჩვენ განვამტკიცებთ საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს.

გაზ. „იზვესტიაში“ ამხ. აბელ ენუქიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ: „მომავალ, საბჭოების გადარჩევისათვის ჩატარებულ წინასწარ მუშაობისა და თვით ამ კამპანიის მსვლელობის დროს. საბჭოების საანგარიშო მოხსენებების ჩასატარებლად. საჭიროა ამრჩევლებს კარგათ გავაცნოთ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანობის საერთაშორისო პოლიტიკა: ამავე დროს თვით ეს კამპანია ფართედ უხ. და გამოვიყენოთ მასების ინტერნაციონალურად აღსაზრდელად“.

იმისათვის, რომ ჩვენს მონაწილეობას მოსამზადებელ მუშაობასა და თვით არჩევნებში მიეცეს ფართე ხასიათი, იმისათვის, რომ ის იყო ცოცხალი, იმისათვის, რომ მან ჩაითრიოს რემედასის ფართე მასა აუცილებლად საჭიროა ის მოეწყოს შეჯიბრების ნიადაგზე. ყოველი ცალკე ორგანიზაცია, უჯრედი და აქტივისტი ვალდებულია მუშაობდეს შეჯიბრების მეთოდით ამ კამპანიის უფრო ნაყოფიერად ჩასატარებლად. ამ შეჯიბრებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელია საუკეთესო ორგანიზაცია. ეს შეჯიბრება უნდა გამოიხატოს კონკრეტიულ ფაქტებში და უნდა გახდეს, ამა თუ იმ ორგანიზაციის, აქტივისტის, თუ ცალკე ბრიგადის მუ-

შობის უნარიანობის გამოსაცნობი საზომი.

შეჯიბრების მაჩვენებლად უნდა დავასახელოთ: რემედასის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიაში, ბრიგადების მონაწილეობის მუშაობის ხარისხი საგადარჩევო კამპანიაში, ახსნა-განმარტებითი მუშაობაში მონაწილეობის ხარისხი, საგადარჩევო კრებებზე რემედასის წევრთა დასწრება და სხვ. და სხვ.

უპირველეს ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს კომიტეტებისა და უჯრედების მიერ მონაწილეობის კონკრეტიულ გეგმების დამუშავება.

ოლქების ლიკვიდაცია, რაიონების განმტკიცების ამოცანები, სოფლად სოციალისტური სექტორის ზრდა ითხოვს რაიონისა და სოფლისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას. ამიტომ სოფლის საბჭოების გადარჩევის კამპანიას ჩვენ უნდა მოვახმაროთ ჩვენი ენერგიისა და შესაძლებლობის მაქსიმუმი.

სოფლად, სადაც ნაკლებად არის კულტურული ძალები, სადაც კლასობრივი ბრძოლა ღრმავდება უფრო ინტენსიურად, სადაც ის ღებულობს უფრო მწვავე ფორმებს, იქ რემედასის ორგანიზაციებს შეუძლიათ და კიდეც უნდა აღმოუჩინოთ თვალსაჩინო დახმარება პარტიასა და ხელისუფლებას. აქ ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი სიფრთხილე, კლასობრივი სიმტკიცე და გამძლეობა.

გარდა ამისა ყველა მივარდნილ სოფლებსა და შორეულ კუთხეებში უნდა მოეწყოს სადარაჯოები, რომლებიც კლასობრივი მტრის გამოსვლებისა და პარტიის გენერალური ხაზის გამრუდების ყოველი წვრილმანის შესახებაც კი სათანადო ცნობებს მიაწვდის, როგორც რაიონულ, საოლქო, ისე ცენტრალურ კომიტეტს. ეს ცნობები, ისე უნდა იქნეს გადაცემული, რომ ზემდგომმა ორგანოებმა თავის დროზე შესძლონ ენერგიული და გადამჭრელი ზომების მიღება კულაკური ელემენტების გამოსვლების წინააღმდეგ და მის აღსაკვეთად. ასეთივე სანიმუშო სადარაჯოები შესაძლოა მოეწყოს ქალაქებშიაც, განსაკუთრებით წარმოებებსა და რაიონულ ც-ტრებში.

გარდა ამისა სოფლებისაკენ გაგზავნილი უნდა იქნენ რემედასის დამკვრელი კოლონები, რომლებსაც უნდა დაეკისროს პროპაგანდა აგიტაციის ჩატარება საარჩევნო კამპანიების ღირსეულად ჩასატარებლად. ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს სათანადო პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით. ამ ბრიგადებსა და კოლონებს უნდა მიეცეს სათანადო დირექტივები საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. ამ კოლონებმა და ბრიგადებმა ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყონ პარტიული და საბჭოთა ორგანოებს მშრომელ მასების მობილიზაციის საქმეში და ამ კამპანიაში გლეხებისა და მუშების პროცენტით ჩასაბმელად.

ბეჭდვითი სექტორები მჭიდროდ უკავშირდებიან ამ ბრიგადებს, კოლონებსა და სანიშნო სადარაჯოებს, რათა უკანასკნელობელების მიერ დროზე და მთლიანად იქნეს გამოქვეყნებული ყოველგვარი ცნობები, კამპანიის მსვლელობის შესახებ.

მეორეს მხრით ბეჭდვითი სექტორებმა უნდა გამოჰყონ სპეციალური ამხანაგები, რომლებიც მოელაპარაკებიან ადგილობრივ გაზეთებს, მიწოდებული ცნობების დაუყოვნებლივ გამოქვეყნების შესახებ.

არა ცირკულიარებით, არამედ ცოცხალი, დამკვრელი და ბოლშევიკური ტემპებით უნდა მივიღოთ მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში. ეს უნდა ახსოვდეს რემედასის ყოველ უჯრედს, მის ყოველ წევრს, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში.

აი, ჩვენი სადღეისო და დამკვრელი ამოცანა!

ბ. ლ—ი.

# რემედასი განვლილ წელში და მომავალის პერსპექტივები

ამჟამად რემედასის წინაშე გაცილებით მეტი ამოცანები სდგას, ვიდრე ეს იყო გასულ წელში. ეხლა საქ. რემედასი არა მარტო უწევს მატერიალურ დახმარებას პოლიტპატიმრებს,მათ უმწეოდ დარჩენილ ოჯახებსა და დაღუპულ რევოლიუციონერთა ქვრივ-ობლებს, არა მარტო ზრუნავს მასის ინტერნაციონალურად აღმზრდელობაზე, არამედ რემედასი უკვე რეალურად ჩაება ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის დიდსა და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

თესვის, მოსავლის აკრეფის, პურის დამზადებისა და სხვა ჩვენი სოციალისტურ ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან კამპანიებში, რემედასი გვერდში ამოუდგა პარტიასა და ხელისუფლებას.

მიმდინარე წელს საქართველოს რემედასმა მისცა პარტიასა და ხელისუფლებას ათეული, აპარატში, მომუშავე თავისი ამხანაგები, რომლებიც რემედასის ხარჯზე გავიდენ სოფლად ზემოხსენებული კამპანიების ჩასატარებლად. მარტო რემედასის ცენტრალურ აპარატმა ამ საქმეზე დახარჯა 3.700 მანეთი. ასევე მოხდა რაიონებში და ოლქებში. რემედასი იღებს თავის თავზე მოვალეობად, მომავალ წელში კიდევ უფრო დარაზმულად გამოვიდეს ყველა კამპანიების ჩასატრებლად, რადგან სოციალიზმის მშენებლობაში ხელის შეწყობა საბჭოთა კავშირში არის უპირველესი და უდიდესი მოვალეობა, რომელიც ვალად აილო საერთაშორისო პროლეტარიატმა და რემედასი, როგორც რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია, ვერ იქნება თავის მოვალეობის სიმაღლეზე, უკეთუ იგი პირველ ყოვლისა აქტიურად არ ჩაებმება საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აღმშენებლობაში.

ამიტომ არის, რომ საქართველოს რემედასი ჰყოფს თავის რიგებიდან გამობრძმედილ, ენერგიულ მუშაკებს, ადგენს მათგან რემედასის სახელობის ბრიგადებს, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საფინანსო-საწარმოო გეგმებს. ასე მოხდა მაგალითად—ტყიბულში, ჭიათურაში, სადაც არსებობს ათი რემედასის სახელობის დამკვრელი ბრიგადა,—ხუთი რემედასის სახელობის საამქრო და ხვ.

თესვის, მოსავლის აკრეფისა და პურის დამზადების კამპანიებში რემედასმა გაგზავნა ათეული — დამხმარე და შემკეთებელი (ტრაქტორისტები) ბრიგადები. კახეთმა გამოიყვანა ველად ქვრივ-ობოლთა ყანების ასაკრეფად და დასათესად შვიდი ბრიგადა, რომელმაც დაუმზადა მათ რამოდენიმე ასი ფუთი პური და სხვა.

ყველა ამასთან დაკავშირებით, რემედასი ეწევა მეორე საქმიანობას. იგი ზრდის კადრებს, რომლებსაც პარტია იყენებს უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოებზე. მაგალითად: სენაკის რემედასის რაიკომის მდივანი ამხ. **ალასანია** დანიშნულია საბჭოთა მამულის დირექტორის მოადგი-

ლეო; ზესტაფონის რემედასის მდივანი ამხ. ლაშხი არჩეულია რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარედ და სხვა.

მიუხედავად ამ საერთო წინსვლისა, ჩვენ გვაქვს სუსტი მხარეებიც, უმთავრესად სოფლად მუშაობის გაშლაში. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მამულებში და საერთოდ კერძო, ინდივიდუალურ სექტორში, რემედასის მუშაობა, საგრძნობლად მოიკოჭლებს. ეს უნდა აღინიშნოს ბოლშევიკური პირდაპირობით და გულახდილობით.

იმ დროს, როცა „საშუალო გლეხთა მასების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ღარიბ-გლეხებთან ერთად შეიგნო მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობანი, ნებაყოფლობით გაერთიანდა კოლმეურნეობაში“... „მილიონი ხალხის გამოცდილებითაც იქნა შემოწმებული ის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს შესაძლებელია ჩამორჩენილი და მცირე ნაყოფის მომცემი წვრილი და უწვრილესი ინდივიდუალურ-გლეხური მეურნეობა უშუალოდ გადავიდეს მსხვილ კოლექტიურ მაღალ ნაყოფიერების მეურნეობაზე“.

იმ დროს, როცა „საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის საფუძველზე პარტია სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვისა და შევიწროვების წინანდელი პოლიტიკიდან გადავიდა ახალ პოლიტიკაზე—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე და ანხორციელებს ამ პოლიტიკას, როგორც განუყოფელი შემადგენელ ნაწილს მთლიანი კოლექტივიზაციისა, რომელსაც თვით ღარიბი და საშუალო მასები ანხორციელებენ“..

იმ დროს, როცა „საბჭოთა კავშირის სოციალისტური ურთიერთობა, რომელიც აქამდე თითქმის მხოლოდ სოციალისტურ მრეწველობას ემყარებოდა, ამიერიდან აგრეთვე დაემყარება სწრაფი განვითარების გზაზე მდგომ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორსაც—მსხვილი წარმოება კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სახით. ამით გახსნილია პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი სიძნელეთა გადალახვის შესაძლებლობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარული ხელისუფლება შზა-მზარეულად სოციალისტურ ურთიერთობას არ ღებულობს, თუ არ ჩავთვლით კაპიტალიზმის უაღრესად განვითარებულ ფორმებს, რომლებიც არსებითად მხოლოდ მრეწველობის უმნიშვნელო ზედაფენებს შეეხო და ძლიერ მცირედ თუ შეხებია ჯერ-ჯერობით მიწადმოქმედებას“. (ლენინი)

„ყოველივე ამასთან შეფარდებით ამჟამად ახალი სახით ისმება საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენის შესახებ სოფლად“.

სოფლად რემედასის მუშაობის გაშლაში, განვლილ წელში, ჩვენ გამოვიჩინეთ უტყუარი სისუსტე.

მომავალ წელში ეს ნაკლი ასი პროცენტით უნდა გამოვასწოროთ და რემედასი, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმიანობაში უნდა გახდეს პარტიისა და ხელისუფლების აქტიური დამხმარე ძალა. ამ სამზადისს საქართველოს რემედასი უკვე შეუდგა. თუ დღემდე საქართველ. რემედასმა შესძლო მხოლოდ ერთი ტრაქტორის შეძენა ბოლნის-ხაჩინის კოლექტიურ მეურნეობისათვის, ეხლა ჩვენ უკვე შეუკვეთეთ ხუთი ტრაქტორი, რომელიც გადაეცემა „დეკადის ჩატარებაში“ გამარჯვებულ ხუთ პირველ რაიონს, რომლებმაც უნდა ჩამოაყალიბონ ხუთი ახალი მეურნეობა, უსასყიდლოთ გადასცენ მათ ტრაქტორი. რემედასი ვალად იღებს ერთი წლის ვადით შეინახოს თავის ხარჯზე ამ ტრაქტორებზე მომუშავე ტრაქტორისტები და ამას გარდა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს რემედასის სახელობის კოლმეურნეობათა განმტკიცებას.

ეს იქნება საქართველოს რემედასის პირველი ნაბიჯი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმიანობაში. ამ პირველ ნაბიჯს მოჰყვება სხვა, უფრო ბეჯითი და გაბედული ნაბიჯები, რომელიც გახდის რემედასს,—სოციალიზმის აღმშენებლობის საქმიანობაში, პარტიისა და ხელისუფლების ერთ ეერთგულეს რაზმად.

ეხლა, საქართველოს რემედასი აერთიანებს 164.865 წევრს ის დაყოფილია 83 რემედასის რაიონულ კომიტეტათ.

რემედასს აქვს 557 კუთხე, სადაც სწარმოებს მასის ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობა.მას აქვს ორი საკუთარი რემედასის ხასიათის კინო-სურათი. იგი უშვებს ყოველთვიურ ორგანო „რემედასს“. რომელსაც ჰყავს 11.000 ინდივიდუალური და კოლექტიური ხელისმომწერლები. საქართველოს რემედასი აერთიანებს — 1.696 უჯრედს.

მიმდინარე წელს მან გაიღო კაპიტალის საპყრობილეებში გამომწყვდეულ პოლიტ-პატიმრების დასახმარებლად 52.000 მანეთი. ყველაფერი ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ რემედასი, როგორც თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია—არის ჯანსაღი. საქმიანი, იგი მოითხოვს სერიოზულ მოპყრობას და არა ისეთს, როგორც ამაზე ამხ. სტასოვა ლაპარაკობდა მეთექვსმეტე პარტიულ ყრილობაზე, რომ რემედასს, ზოგიერთი ამხანაგები დღემდე უყურებენ როგორც „შაურიანს“ და ვერ ამჩნევენ, რომ რემედასი გაიზარდა, დაიკაცდა და ეწევა საერთაშორისო რევოლიუციის გასამარჯვებლად უდიდეს საქმიანობას.

15-დან—25 ოქტომბრამდე რემედასი ატარებს ტრადიციულ „რემედასის დეკადა“-ს. რომლის მიზანია:

1. ახალ წევრების ჩაწერის მეშვეობით რემედასის ზრდა.

2. პოლიტ-აღმზრდელობითი და ინტერნაციონალური მუშაობის გაცხოველება ძირითად უჯრედებში.

3. ადგილობრივ ორგანიზაციების საზღვარ-გარეთ საშეფო საპატიმროებთან და ძმურ ორგანიზაციებთან კავშირის გაძლიერება და განმტკიცება.

4. ფართე აგიტაციის ჩატარება „ხუთწლედის ოთხ წელში“ შესრულებისა და რემედასის ყველა წევრების სოციალისტურ აღმშენებლობის მუშაობაში აქტიურად ჩაბმის შესახებ.

5. რემედასის ორგანიზაციის მატერიალურ საფუძვლების გაძლიერება და კაპიტალის პატიმრებისათვის დახმარების აღმოჩენა.

რემედასის საქ. ც. კ.-ს პრეზიდიუმს სჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ფართოთ გამოეხმაურება „რემედასის დეკადა“-ს, აქტიურად ჩაებმება მის საქმიანობაში, გააძლიერებს და გააჯანსაღებს რემედასის ორგანიზაციებს და წასწევს მას წინ — გამარჯვებისაკენ.

**შამშე ლეჟავა.**



ქ. ბერლინში (გერმანია) პოლიციელები ერეკებიან გაფიცულ მუშებს.

# რ ე მ ე დ ა ს ი ს   დ ე კ ა დ ა

კაპიტალის ქვეყნებში თეთრი ტერორი მძვინვარებს. გააფთრებული კამპანია სწარმოებს რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. საპატიმროები სავსეა მოწინავე მუშებით და ღარიბი გლეხობით, პროლეტარული რევოლიუციისა, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ამ თავდაადებული მებრძოლებით.

აი, თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების მოკლე, არასაკმაოდ მკაფიო სურათი. ბურჟუაზია ველურად უსწორდება შეგნებულ მუშებსა და მშრომელ გლეხებს, — ამას სჩადის იმიტომ, რომ პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას არ ძალუძთ აიტანონ ის მდგომარეობა, რომელშიაც მთ აყენებენ ყველა ჯურის ექსპლოატატორები.

ყველგან, კაპიტალის ქვეყნებში, კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში შრომის ჯოჯოხეთური ექსპლოატაციაა, ყველგან ამცირებენ სამუშაო ხელფასს, ადიდებენ სამუშაო დღეს. ცხოვრება ძვირდება, რეალური სამუშაო ხელფასი ეცემა.

ყველაფერი ეს, თავისთავად ცხადია, იწვევს უკმაყოფილებას და მშრომელი მასების სასტიკ პროტესტს. უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ მუშათა კლასი იძულებულია თავისი საარსებო ინტერესები დაიცვას მხოლოდ რევოლიუციონური ბრძოლით ექსპლოატატორ სისხლისმსმელთა წინააღმდეგ, ვინაიდან ყველა სხვა გზა და საშუალება მან უკვე განვლო და ამოსწურა. მშრომელი მასები უკვე ხედავენ მოკავშირეს კომპარტიაში და მათთვის აშკარა ხდება, რომ იგი არის ქალქისა და სოფლის მშრომელთა ინტერესების ერთად-ერთი გამომხატველი და ნამდვილი დამცველი; ამიტომ კომპარტიის გავლენა ძლიერდება და მისი წევრების რიცხვი იზრდება, თუმცა მასების გამემარცხენება ყველგან ერთნაირი სისწორით და ტემპით არ ხდება. ჩამორჩენილი მასების ტრადიციებისა და კონსერვატიზმის გამო ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია გავლენა სოციალ-ფაშისტების, მენშევიკების, მეორე და ამსტერდამის, უკაცრავად პასუხია „ინტერნაციონალების", რომელნიც ემსახურებიან მსხვილი ბურჟუაზიის ინტერებს და რომელთა „ბელადების" სისტემატიური ღალატით და რენეგატობით საკმაოდ გამოამჟღავნეს თავიანთი ბუნება. სოციალ-ფაშისტები ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ თვალსაჩინო როლს თამაშობენ მუშათა მოძრაობაში. მაგრამ გამწვავებული მსოფლიო ეკონომიური კრიზისისა და გაძლიერებული უმუშევრობის ნიადაგზე უფრო და უფრო სწრაფად ხდება მშრომელ მასების გარევოლიუციონერება. უმუშევრობა კაპიტალის ბევრ ქვეყნებში არაჩვეულებრივად ვაიზარდა. ამ ნიადაგზე ხდება სისხლისმღვრელი შეტაკებები: კაპიტალისტების ხელისუფლება სასტიკად უსწორდება მოწინავე მუშებს, აჯანყებულ მშრომელ გლეხებს და კომუნისტებს, რომელნიც იბრძვიან მშრომელთა ინტერესებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის. რევოლიუციის ამ მებრძოლთა წინააღმდეგ მიმართავენ უსასტიკეს რეპრესიებს და ტერორს, სცემენ მანიფესტანტებს და დემონსტრანტებს. მასიურად აპატიმრებენ მათ, ფაშისტური ბანდები ვერაგულად თავს ესხმიან და ჰკლავენ მუშებს.

საჭიროა რეალური დახმარება გავუწიოთ პროლეტარული რევოლიუციისათვის წამებულთ — კაპიტალის ტყვეებს და პატიმრებს.

სწორედ რემედასი (რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთო ორგანიზაცია) არის ჩვენი კლასობრივი ორგანიზაცია, რომლის ამოცანას შეადგენს მშრომელი მასების შეკავშირება ინტერნაციონალური სოლიდარობის დროშის ქვეშ, მორალური და მატერიალური დახმარების გაწევა უცხოეთის რევოლიუციონერ მებრძოლთათვის.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — საბჭოთა კავშირის — ყველა მივარდნილ კუთხეებში არსებობენ რემედასის უჯრედები და ჩვენი ამოცანაა — უფრო მეტად გავაფართოვოდ ეს ორგანიზაცია. ჩავაბათ მასში საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელნი და გავაღრმავოთ მათი შეგნება, ყველა ქვეყნის პროლეტართა ინტერნაციონალური სოლიდარობის შეგნება. საერთაშორისო სოლიდარობის იდეა იმდენად უნდა შთაუნეგროთ მასებს, რომ ჩვენს კავშირში არ დარჩეს არც ერთი შეგნებული მოქალაქე, რომელიც ღირსეულად არ ატარებდეს „რემედასის წევრის" საპატიო სახელს.

ყველანი ჩაეწერეთ რემედასის წევრად.

რევოლიუციონური მებრძოლნი, კაპიტალის ტყვეები, რომელნიც საპატიმროებში იტანჯებიან, იმედის თვალით უყურებენ საბჭოთა კავშირს — მთელ ქვეყნის მშრომელთა და გაყვლეფილთა სამშობლოს. ისინი ღრმა რწმენით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი, რომელნიც ასე გმირულად და წარმატებით აშენებენ სოციალიზმს ჯერ-ჯერობით მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მორალური და მატერიალური დახმარებით მალე მოახდენენ ძლევამოსილ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას და შექმნიან სოციალისტური რესპუბლიკების მსოფლიო კავშირს.

გაუმარჯოს ძლევამოსილ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, მსოფლიო ორგანიზაციას—რემედასს!

გაუმარჯოს კომუნიზმის დიად მსოფლიო კერას და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დიად შტაბს — ლენინურ კომინტერნს!

მ. ცხაკაია.

# გავაძლიეროთ რემედასის მუშაობა

ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღითი-დღე იზრდება ეკონომიური კრიზისი და ძლიერდება მუშათა მასების რევოლიუციონური მოძრაობა. კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე მრავალი ათასი რევოლიუციონერი იღუპება. ბურჟუაზიულ ქვეყნების საპატიმროები სავსეა მებრძოლ რევოლიუციონერებით; საპყრობილეში მყოფ მუშების ოჯახის წევრები საშინელ გაჭირვებას განიცდიან. ისინი ძმურ დახმარებას ელიან რევოლიუციის მებრძოლთათვის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების საპყრობილეებში მომწყვდეულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა და მათ დამშეულ ოჯახებისათვის, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მატერიალურ დახმარების აღმოჩენას.

დღემდე საქართველოს რემედასის ორგანიზაციებში ყველაფერი თავის რიგზე არაა.

ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში რემედასის ახალქალაქის, ბორჯომის და ზესტაფონის რაიკომიტეტები სრულ უმოქმედობას იჩენენ. ხოლო აჭარისტანის ოლქკომი, ზუგდიდის, გორის, ფოთის, სენაკის, ქუთაისის, 26 კომუნარების და ქალაქის რემედასის რაიკომები საგრძნობლად ჩამორჩენ სხვა რაიკომებს. სამაგიეროდ რემედასის აფხაზეთის და სამტრედიის ორგანიზაციებმა სრული ასი პროცენტით შეასრულეს დავალება და პირველი კანდიდატები არიან რემედასის საქართველოს ც. კ-ს პრეზიდიუმის მიერ დაწესებულ პრემიაზე.

საქართველოს რემედასის მუშაობის უარყოფით მხარეთ უნდა ჩაითვალოს ის დიდი დავალიანება, რომელიც ირიცხება კერძო პირებზე და ორგანიზაციებზე.

ასეთ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

რემედასის საკავშირო და საქართველოს ცენტრალური კომიტეტები ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით ატარებენ საღსრების საინკასაციო სისტემას. ფოსტა-ტელეგრაფის საშუალებით საღსრების ინკასაციის სისტემა მჭიდროდ დააკავშირებს რემედასის ყველა უჯრედებს რემედასის ც. კ-ს ბუჰალტერიასთან.

ლიტერატურის, პლაკატების და გულის ნიშნების გავრცელება და განაწილება რაიკომების დახმარებით მოხდება, მაგრამ ასეთი წესიც მალე შეიცვლება. რემედასის ც. კ-ი უშუალოდ დაუკავშირდება ადგილობრივ უჯრედებს და მიაწოდებს მათ სათანადო ლიტერატურას. ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გვსურდეს რაიკომების მოვალეობების და უფლებების შელახვა. პირიქით, საინკასაციო სისტემა — ფ.-ტ-ის საშუალებით საღსრების გადმოგზავნა, — რაიკომებს გაანთავისუფლებს ზედმეტ საკანცელარიო მუშაობისაგან და მათ მეტი შესაძლებლობა ექნებათ უჯრედებთან კავშირის დასაჭერად.

ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მინიმუმამდე შევამციროთ ცირკულიარები, რემედასის ძირითად უჯრედებთან და რაიკომებთან ცოცხალ ინსტრუქტაჟის გაძლიერების საშუალებით გავაძლიეროთ რემედასის უჯრედების მუშაობა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი, გადაუდებელი და აუცილებელი ამოცანაა, რომელიც საქართველოს რემედასმა უახლოეს დროში უნდა შეასრულოს.

ვანო სტურუა.

# ვემზადოთ კომკავშირის სრ. საკ. მეცხრე ყრილობისათვის

მიმდინარე წლის დეკემბრის პირველს იხსნება საკავშირო ლენინელთა კომკავშირის მეცხრე ყრილობა. ეს ყრილობა, რომელიც მოწვეულია პარტიის ისტორიული მე-16 ყრილობის შემდეგ, შეამოწმებს, თუ რამდენად გატარა ცხოვრებაში კომკავშირმა პარტიის ყრილობის დადგენილებები და რა მონაწილეობას იღებს სოციალიზმის მშენებლობაში.

მე-9 ყრილობამ უნდა დაამტკიცოს, რომ დამკვრელობა და ახალი ტემპები შეიჭრენ ახალი ადამიანის აღზრდის მთავარ სფეროებში, სახელდობრ ინტერნაციონალურად აღზრდის დარგში.

კომკავშირის მე-8 ყრილობის შემდეგ გავიდა სრული ორი წელიწადი. თავისი გადაწყვეტილებაში კომკავშირელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინტერნაციონალურად აღზრდის გარეშე შეუძლებელია მშრომელი ახალგაზრდობის კლასობრივად აღზრდა.

ყრილობის შემდეგ შემდგარმა ა.კ-ის მეხუთე კონგრესმა სავსებით მოიწონა და დაადასტურა ეს გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოთ გამოაცხადა აკის ყოველი წევრისათვის, ყოველი ქვეყნის კომკავშირელისათვის, რათა ის იყოს რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის მასიური ორგანიზაციის—რემედასის აქტიური წევრი. და ბოლოს, სრულიად საკ. ლ.კ.კ. ც.კ. 1929 წ. დეკემბერს თვის პლენუმზე შეაჯამა კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილებანი და მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ინეტრნაციონალური მუშაობა არ უნდა იდგეს კომკავშირის საერთო მუშაობის გარეშე.

ინტერნაციონალური მუშაობა,—ნათქვამია ამ დადგენილებაში,—„არ უნდა იყოს მარტო ინტერნაციონალისტ-ენტუზიასტების საქმე, არამედ ის უნდა გახდეს ლენინურ კომკავშირის ყველა რგოლების მუშაობის განუყოფელ ნაწილად“.

როგორც სხვა ხასიათის მუშაობის, ისე ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ კომკავშირელები ვალდებულნი არიან პატაკი წარუდგინონ ლ.კ.კ. სრულიად საკავშირო მე-9 ყრილობას. ისინი ვალდებულნი არიან დაამტკიცონ ის, თუ რამდენად არიან გაჟღენთილი და აღჭურვილი ლენინური ინტერნაციონალიზმით, ისინი ამავე დროს ვალდებულნი არიან აღიარონ, თუ რამდენად შესძლეს მიეცათ ახსნა-განმარტება კომკავშირის რიგებში ახლად შემომატებული ახალგაზრდა მუშა და გლეხ ახალგაზრდობისათვის ხუთწლედის შესრულების საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ, ყრილობაზე წამოსული ახალგაზრდობა ვალდებულია აღიაროს, თუ რამდენად იბრძვიან ისინი ძველი ყოფა-ცხოვრებითი ნაშთების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად, კაპიტალისტური და კულაკური ელემენტების წინააღმდეგ საბჭოთა სოფლის ეკონომიკის სოციალისტურ ყაიდაზე გარდასაქმნელად.

ყრილობისათვის კომკავშირის ყოველი უჯრედი, ყოველი კომიტეტი ვალდებულია გადასინჯოს—შეტანილია თუ არა ინტერნაციონალური აღზრდის მომენტი კომკავშირის საერთო პოლიტგანმუშაობის სისტემაში. გამომჟღავნებულია, თუ არა აკისა და კომუნისტური ინტერნაციონალის სექციების საერთაშორისო რევოლიუციის საკითხები კომკავშირის პოლიტსკოლების პროგრამაში, არის თუ არა ინტერნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი კომკავშირის ორგანიზაციების მასიური სააგიტაციო მუშაობა.

კომკავშირის მე-9 ყრილობის მოსამზადებელ მუშაობაში რემედასიც უნდა იქნეს ჩაბმული. საამისოდ უნდა მოემზადონ, როგორც რემედასის ძირითადი ორგანიზაციები, ისე უჯრედები და კომიტეტები. ყრილობის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების დროს რემედასის უჯრედებმა კომკავშირის უჯრედების კრებებსა და ბიუროებზე უნდა მოაწყონ მოხსენებები თავიანთი მუშაოის შესახებ.




რურის ოლქში (გერმანია) პიონერებმა დემონსტრაცია მოაწყვეს პროლეტარული ბავშების „სპარტაკ“-ში დასარაზმავად.

რემედასისა და კომკავშირის უჯრედებმა ურთიერთიადმი ხელისშესაწყობათ უნდა გამოჰყონ ბრიგადები, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ კომკავშირის ამა თუ იმ უჯრედის მატერიალურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე—მასიური ინტერნაციონალური მუშაობა საამქროში, წითელ კუთხეში, საერთო საცხოვრებელში, კლუბში, ინტერნაციონალურ რემედასის კუთხესა და სხვ.

რემედასის ყველა უჯრედები ვალდებულნი არიან კომკავშირის უჯრედთან ერთად გამოუშვან ბიულეტენი მუშაობის დათვალიერების შედეგების გამოსაქვეყნებლად, ამავე დროს საჭიროა ეს შედეგები გაშუქებული იქნას აგრთვე-ქარხნის საერთო პრესაში. რემედასის ბიუროს კრებაზე, რემედასელ კომკავშირელების მონაწილეობით მოსმენილი უნდა იქნეს მოხსენება რემედასის საქმიანობის შესახებ, სადაც გამოტანილი უნდა იქნეს ერთგვარი შეფასება კომკავშირელების მონაწილეობის შესახებ რემდასის მუშაობაში. ეს მოხსენებები გამოტანილი უნდა იქნეს კომკავშირელთა, როგორც საერთო საქარხნო, ისე საერთო საფაბრიკო კრებებზე. მთელი ეს კამპანია გამოყენებული უნდა იქნეს იმისათვის, რათა მიღწეული იქნეს ს.ა.ლ.კ.კ. ც.კ. წერილი ახალგაზრდობის საერთაშორისო მე-16 დღისადმი **„რემედასის სამუშაოებზე საუკეთესო კომკავშირელების გამოყოფის შესახებ“.**

ამ კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ რემედასის მუშაობაში ჩაბმულნი იქნენ საზოგადო მუშაობაში გაწვრთნილი და გამოცდილი, ფაბრიკა-ქარხნებისა, კოლ. და საბჭოთა მეურნეობების, როგორც პარტიული, ისე უპარტიო ახალგაზრდობა.

ყრილობის წინა პერიოდში განზრახული კომკავშირის საოლქო კონფერენციებიც უნდა იქნეს გამოყენებული რემედასის მიერ. ამ კონფერენციებისათვის დამუშავებული და მომზადებული უნდა იქნეს მასალები კომკავშირის მონაწილეობის შესახებ რემედასის ორგანიზაციებში. დამზადებული და გამოფენილი უნდა იქნეს სათანადო დიაგრამები კომკავშირის წევრობის და მისი კადრების ზრდის შესახებ რემედასის ორგანიზაციებში.

რემედასის კომიტეტებმა უნდა შეკრიბონ ყოველგვარი მასალები კომკავშირის მონაწილეობის ახალი ფორმების შესახებ რემედასის მუშაობაში.

კომკავშირის მე-9 ყრილობამ ნიშანი უნდა მისცეს რემედასს—მის რიგებში ახალგაზრდობის ახალი ფენების დარაზმვის შესახებ.

ამ ნიშნის მიცემა უნდა იგრძნონ რემედასის ყველა ორგანიზაციებმა.

**ბ. ა.**

# თეთრი ტერორის მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

**ინდოეთი:** კალკუტაში შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დააპატიმრეს პროფკავშირის 20 მოღვაწე.; ბომბეიში პოლიცია დაესხა დახურულ ფაბრიკა-ქარხნებიდან დათხოვნილ მუშათა დემონსტრაციას, რომლის დროს დაიჭრა 50 კაცი; ამავე დროს ჩატარებულია მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი.

ჩანდაში, სატყეო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაპატიმრებულ 12 კაცს სასტიკად სცემეს ინგლისელმა ოფიცრებმა. დაპატიმრება ისევ გრძელდება. ბევრ ადგილებში მოსახლეობა უდიდეს წინააღმდეგობას უწევს პოლიციას.

საეჭვო პირთა ძებნის საბაბით ინგლისის პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა ქალ. ჩანდერნაგორში, რომლის დროს 2 გარდაიცვალა და 5 შეიპყრეს, მათ შორის 2 ქალია.

ისლამპურში მომხდარ გლეხთა აჯანყების ჩასაქრობათ გაგზავნილ დამსჯელ ექსპედიციას მცხოვრებლები შეხვდენ ქვებით, ფიწლებით და სხვ. შეიარაღებულნი. შეტაკების დროს მოკვდა ორი გლეხი და დააპატიმრეს მრავალი.

„დეილი უორკერი“-ს ცნობით სამოქალაქო არეულობის დროს შეპყრობილ პოლიტპატიმართა რაოდენობა 26.311 კაცამდე აღწევს. გრძელდება დაპატიმრება. კალკუტაში შეიპყრეს 30 დემონსტრანტი ქალი. ლაგორეში კი—20.

**ინდო-ჩინეთი:** კოლონის პროვინციაში პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტების ერთ ჯგუფს. ბევრია დაჭრილი და სახიჩრებული.

სექტემბრის 8-ს, ჯარისკაცებმა ტყვია დაუშინეს მთავარ ქალაქისაკენ მომავალ 300 აჯანყებულს. ოფიციალური ცნობის თანახმად მოკლულია 4 და დაჭრილი 4 ადგილობრივი მცხოვრები.

**ჩინეთი:** პროვინცია ინანში (ჩინეთი) დააპატიმრეს ინდო-ჩინეთიდან გამოქცეული მრავალი ანამიტ-რევოლიუციონერები. 11 დაპატიმრებული გადაეცა საფრანგეთის ხელისუფლებას ტონკინში. მათ შორის უმრავლესობა კომუნისტებია, რომლებსაც მისჯილი აქვთ ხანგრძლივი პატიმრობა.

ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს 29 ჩინელი რევოლიუციონერი მუშა კაცი და ქალი.

ჩანშაში საფრანგეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა 17 მუშა, რომლებიც გადაეცა სასამართლოს ორგანოებს, როგორც „აგიტატორები“.

**ლათინური ამერიკა:** პირველ აგვისტოს დღესასწაულთან დაკავშირებით გვატემალში პოლიციამ ჩაატარა დაპატიმრება, რომლის დროს ადგილი ჰქონდა ცემატყეპას და ფიზიკურად დასახიჩრებას. სხვათა შორის დაპატიმრებულია გვატემალის „წითელი დახმარების“ მდივანი ამხ. ხოზე ლიუს სოტო. ამავე დროს ჩამორთმეულია დიდძალი ლიტერატურა და საბეჭდი მანქანები. იმავე დღეს ჩატარებული იქნა თავდასხმა რევოლიუციონურ პროფკავშირებსა და მუშათა ბელადების ბინებზე.

აგვისტოს 28, ნიკარაგუაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეტაკებას აჯანყებულთა და პოლიციას შორის. მოკლულია 28 აჯანყებული, დაჭრილია 20 და დაპატიმრებულია 9 კაცი.

არგენტინაში ახალი ფაშისტი დიქტატორის ურიბურუს განკარგულებით დასჯილია 16 რევოლიუციონერი მუშა, მთელიან ახალ დასჯას.

**ჩ. ა. შ. შ.** 20 აგვისტოს საპატიმრო უოლა-უოლაში, ვაშინგტონის შტატში გარდაიცვალა ცნობილი რევოლიუციონერი ამხ. ჯემს მაკ-აინერნი. ის გარდაიცვალა

კლექით — თორმეტი წლის პატიმრობისა და ავადმყოფობის შემდეგ.

ტარბიროში ლინჩის კანონით დასაჯეს მოჯამაგირე ზანგი ოლივერ გური. თეთრკანიანების ბრბო შევარდა საპყრობილეში, სტაცეს ხელი ზანგს, რომლის დროს ადმინისტრაციას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ამ რიგად ის სასწრაფოდ გააქროლეს საკნიდან. მას დაახარეს რამდენიმე ასი ტყვია.

დარიონში ლინჩის კანონით აწამეს ზანგი ჯორჯ გრაუტ. ჩიკაგოში გარდაიცვალა მუშა ზანგი მეზონი, კომპარტიის კანდიდატი პარლამენტში. აღნიშნულმა ამხანაგმა სერიოზული ჭრილობები მიიღო 14 ივლისს პოლციელებთან შეტაკების დროს, რაც მოჰყვა მისი ვრცელი სიტყვით გამოსვლას მიტინგზე.

**იტალია:** სლოვენიის ნაციონალისტების საქმის პროცესთან დაკავშირებით ტრიესტსა და მის ახლო-მახლო ადგილებში ტარდება დაპატიმრებანი.

იტალიაში ფაშისტური დიქტატურის არსებობის 8 წლის განმავლობაში მოკლულია 2.172 სლოვენიელი და კროატელი, დაპატიმრებულია 20.000, გაქცეულია 16.000. დახურულია 3.200 სკოლა, ბიბლიოთეკა და სხვ. დაწესებულებები. სრულიად მოსპობილია 14 სლოვენიელი გაზეთი.

**რუმინეთი:** ტარგუ მურეში აღმოაჩინეს „წითელი დახმარებისა" და კომკავშირის ორგანიზაცია. დაპატიმრებულია 22 კაცი. გრძელდება დაპატიმრებები.

**პოლონეთი:** პოლიტიკური პოლიციის მიერ ჩატარებულია ახალი თავდასხმები ვარშავის კომპარტიასა და „წითელ დახმარება"-ზე. 37 ოთახში ჩატარებულ გაჩხრეკების შემდეგ დაპატიმრებულია 16 კაცი, რომლებსაც უპოვეს რამდენიმე ცალი საბჭოთა გაზეთი, ხელმოწერის ფურცლები და „წითელი დახმარება"-ს მარკები.

**ფინლანდია:** აბოლგში კომუნისტური მოღვაწეობისათვის პასუხისგებაში მიცემულია 12 კაცი. მათ შორის არის დაშლილი პარლამენტის 4 წევრი, დანარჩენები კი მუშები, მოსამსახურეები და სხვ.

ლახტში დაპატიმრებულია 11 კაცი, რომლებსაც ბრალი ედებათ არალეგალურ კომუნისტურ მოღვაწეობისათვის.

# რას გვწერენ კაპიტალის პატიმრები

## 1-ლი მაისობა საპატ. „პავიაკსა" და „სერბიაში"

საძირკვლიანად შერყეული პილსუცსკის ფაშისტური დიქტატურა ლამობს ქვეყნის სამეურნეო კრიზისის სრული სიმძიმე დააკისროს მშრომელ მასებს. პროლეტარულ რევოლიუციის ტალღების ზრდასთან დაკავშირებით ფიქრობს სისხლის მორევში ამოაღრჩოს ბრძოლისათვის აღტკინებული მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა.

საერთაშორისო იმპერიალიზმის დახმარებით საომრად ემზადება საბჭოთა კავშირთან, რომელშიდაც, ნაცვლად კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ დამყაყებულ მეურნეობისა, სრულდება ჯერ ისტორიაში არ ნახული სამეურნეო გეგმა. დასისხლიანებული პილსუდსკის მთავრობა საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად „პურისა და შრომას" უმუშევართა უამრავ ჯარს ტყვიით, კოლიციით და საპყრობილეებით უმასპინძლდება.

ისედაც დატანჯულ პატიმრებს ლანძღვას და გინებას არ აკლებენ ფაშისტების ლაქიები, რომელნიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ პატიმართა ადამიანობის დამცირება, განსაკუთრებით საპატიმროების პირობებში აღემატოს ყოველგვარ საზღვარს და მოთმინებას. შექმნილ პირობების წინააღმდეგობაზე ციხის ადმინისტრაცია გვეპასუხებს პროკურატურით და სისხლის ღვრით. ამას მოწმობენ **კელცი** და **ლიუბლინი**, სადაც პატიმრების მიერ გამოცხადებული საპროტესტო შიმშილობის გამო მოკლული იყო ჩვენი რამოდენიმე ამხანაგი. იგივეს აქვს ადგილი ჩვენთან **პავიაკში.**

პოლიტპატიმრების ცხობილი ჯალათი — უფროსი **იანკოვსკი** (პატიმარის მკვლელი), რომელიც 1924 წელში თმებით მიათრევდა კარცერში ჩვენს ამხანაგებს, ჩვენს უფლებრივ მოთხოვნილებებზე ტერორით გვპასუხებს. მის ზრახვებს ელობება ჩვენი ნებისყოფის ურყევი პოზიცია და სიმტკიცე.

1928 წელში გამოცხადებულ შიმშილობის შემდეგ (რაიც შედეგათ მოჰყვა სურვილს შემოეღოთ საპატიმროში ფაშისტური დეკრეტი ჩვენი უფლებების მოსპობის და იკვლელებთან და ქურდებთან გათანასწორების შესახებ),— ჩვენ იძულებული ვიყავით შეუნელებელი ბრძოლა გვეწარმოებია ჩვენი უფლებების დასაცავად. სასეირნოთ გაყვანის წინ ჩვენი გაჩხრეკის შემდეგ, რასაც სისტემით ძემოღებას ლამობენ (1928 წლის დეკემბერი და 1929 წლის დასაწყისი) და რაზედაც სეირნობისადმი ოთხკვირიან ბოიკოტით უპასუხეთ, ჩვენ სამი თვის განმავლობაში ბოიკოტი გამოუცხადეთ აგრეთვე მახლობლებთან ნახვის უკანასკნელი პირობების გაუარესების გამო სერბიის ციხეებში, ზემოხსენებული ჩვენი პოზიცია და ქმედება დასაწყის წერტად უნდა ყოფილიყო ჩვენ წინააღმდეგ საიერიშოდ. შემდეგ კიდევ ორჯელ განიზრახეს შეეზღუდათ ჩვენი სეირნობის უფლება და ბოლოს მეტად სერიოზულად განიზრახეს ჩვენთან არსებულ სასურსათო კომუნის მოსპობა რუსეთში მომხდარ (7 ნოემბერი) პროლეტარულ რევოლიუციის წლის თავის აღსანიშნავად ჩვენ მიერ მოწყობილი დემონსტრაციის გამო. თავისუფლებაში მყოფ ამხანაგების მასიურ გამოსვლების და ჩვენი ურყევი პოზიციის წყალობით კვლავ დაგვიბრუნეს სასურსათო კომუნა. ამ მოკლე ხანში ადმინისტრაციამ განიზრახა ბიბლიოთეკის გაუქმება, რომ მოესპო ჩვენთვის სწავლის ყოველგვარი საშუალება და აღვიკრძალა საკნებში თვითეულ კაცზე ერთ რვეულზე მეტის ხმარება.

ერთი კვირით ადრე პირველ მაისამდე ადმინისტრაციამ ჩვენი 12 ამხანაგი გადაიყვანა ცენტრალურ ციხეში, რითაც შეასუსტა ჩვენი კომუნა და საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ გაშლილი იერიში წამოიწყო ჩვენ წინააღმდეგ, როგორც ადგილი ჰქონდა ნოემბრის 7-ის შემდეგაც. ჩვენი ამხანაგების დაცვის მიზნით ჩვენ დაუყოვნებლივ მოვაწყვეთ დემონსტრაციები საკნებში, რამაც შედეგათ აიძულა ადმინისტრაცია შეეჩერებია უკვე მომზადებული მეორე წყება ამხანაგების ჩვენი ციხიდან გაყვანა და დაებრუნებია უკანვე საკნებში (ციხიდან 40 ამხანაგის გადაყვანა ჰქონდათ განზრახული).

მიუხედავად ზემოხსენებულ ზომით ჩვენი დაშინების წადილისა, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ საპირველმაისო დემონსტრაციის მოწყობა (თავისუფლებისათვის მებრძოლ) მთელი მსოფლიოს მუშებთან სოლიდარობის აღსანიშნავად.

პირველ მაისამდე რამოდენიმე დღით ადრე, პავიაკი ხიესო ვარშავის ქუჩებში მრავლად დაპატიმრებულ ახალი პატიმრებით, რომელთა ნაწილი დღესაც არ არის განთავისუფლებული, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაპატიმრებისათვის არავითარი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობენ, ნიშნების მოძებნის მიზნით საკნებში დაიწყეს ჩხრეკა, რამაც უშედეგოთ ჩაიარა. ჩვეულებისამებრ მაისის პირველ საკნებიდან გაიყვანეს ორი განყოფილება. ამხანაგები უაჩრიდენ მწკრივად ოთხ-ოთხი კაცი და ჰქონდეს ნიშნები. ამ გარემოებამ მეტად დააღონა ადმინისტრაცია. მიუხედავად ამისა ნიშნები არ წაურთმევიათ. მოკლე სიტყვის შემდეგ გაისმა ლოზუნგები და „ინტერნაციონალის" მღერა, რომელსაც შეუერთდენ საკნებში დარჩენილი და ციხე „სერბია"-ში მყოფი ამხანაგები. დაუყოვნებლივ შეგვიწყვიტეს სეირნობა, ხოლო დანარჩენი განყოფილებები არ გამოუშვეს ეზოში. ამის საპასუხოდ 11 ნახ. საათზე ჩვენ განმეორებით მოვაწყვეთ დემონსტრაცია. **საბჭოთა კავშირის** საზეიმო და პილსუცსკის ფაშისტურ დიქტატურის საწინააღმდეგო. ჩვენ **დემონ-**

სტრაციაზე ცენტრალურ ციხის (აქვეა პავიაკში) ინსპექტორებმა, ადმინისტრაციის თანხმობით, განიზრახეს კონტრ-დემონსტრაციის მოწყობა პილსუცსკის საზეიმოთ. მათ მიემხრნენ რამოდენიმე მკვლელობისათვის და ქურდობისათვის დაპატიმრებული „პეპეესოველი“. ამ ღირსეულ „პატრიოტების“ კამპანიას დავალებული ჰქონდათ მოეწყოთ სკანდალი ჩვენი დამარცხების და დამონების საბაბათ. რომ ასეთ განზრახვას ნამდვილად ჰქონდა ადგილი მოწმობს შემდეგი ფაქტი: 14 ჩვენი ამხანაგი გადაყვანილი იყო ცენტრალურ ციხეში, ხოლო კონტრ-დემონსტრაციის დროს (რომელიც ჩაიშალა) განყოფილებაში „დარღვეულ წესიერების აღსადგენად“ გამოწვეული იყო ზედამხედველების მარქაფი, ციხე „სერბია“-ში კი ზედამხედველები ფეხქვეშ უკლიდენ ჩვენ ამხანაგებს —ქალებს —სკამებს დემონსტრაციის შეჩერების მიზნით და სკანდალის ჩაძოსაგდებად, მიუხედავად ამისა ჩვენი ამხანაგები--ქალები განაგრძობდენ დემონსტრაციას. როგორც ყოველი პროვოკაცია, ისე ესეც დაიმსხვრა ჩვენი ბოლშევიკური კომუნის დისციპლინაზე. ადმინისტრაციის ყოველი წინა თავდასხმები და უკანასკნელი პროვოკაციაც, 14 ამხანაგების ცენტრალურ ციხეში გადაყვანა, რომელშიაც მეტად მძიმე სანიტარული პირობებია —ნათელჰყოფენ, რომ ხელისუფლების ბრძანებით ადმინისტრაცია ემზადება ჩვენი დამარცხებისათვის და საპატიმროებში ფაშისტური რეჟიმის დეკრეტის შემოსაღებად, რომ ფაშისტურ ხელისუფლებას ხსენებული განზრახვა აქვს აშკარად განუცხადა სამინისტროს დელეგატმა ჩვენი პავიაკის რწმუნებულს, რომელმაც სთქვა, რომ ამჟამად გამომუშავებულია საპატიმროების ახალი რეგლამენტი წარმომადგენლების, კომუნის, სასურსათო კომუნის, ბიბლიოთეკის და სხვათა გაუქმების შესახებ. ხსენებული რეგლამენტი ვითომდა ჯერხნობით შემოღებული იქნება სანაპიროების ციხეებში და შემდეგ სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე. ეს ფაქტები იმას ლაპარაკობენ, რომ ციხის გარეთ ბრძოლის გამწვავებაში სათანადო გავლენას ახდენს ციხეების ყოფა-ცხოვრებაზე და იწვევს ტერორს, ჩვენზე ახალ შემოტევების შესაძლებლობას ქმნის, რომელნიც ძლიერდებიან პირველ მაისობის შემდეგ.

ამ იერიშებზე ჩვენ ჯეროვან პასუხის გაცემას შევძლებთ მხოლოდ ციხის კედლების გარეთ ფართო აგიტაციის დახმარებით და იმით, თუ ჩვენი უფლებების ყოველგვარი შელახვა—ქალაქ ვარშავის პროლეტარიატის პროტესტს გამოიწვევს.

ბრძოლა ჩვენი უფლებებისათვის იქნება ბრძოლა პაბიანიცის და ზავიერტეს დამშეულ მუშების მკვლელობის დიქტატურის წინააღმდეგ, იქნება ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის და პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის.

ჩვენ გვწამს, რომ როდესაც ეს ბრძოლა დაიწყება ქ. ვარშავის წითელი პროლეტარიატი გამოვა ჩვენ დასაცავად და მასიური დემონსტრაციებით მოადგება პავიაკის კედლებს.

ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარიატის მიერ ჩვენი ციხის საკნების კარებების გაღებამდე ჩვენ მარტონი არ ვიქნებით ბრძოლაში და ბოლომდის გვექნება დახმარების იმედი.

პავიაკი, მაისი 1930 წ.

**პავიაკის პატიმარი.**

## 1-ლი მაისი ცენტრალურ ციხეში

რამოდენიმე დღით ადრე პირველ მაისამდე ცენტრალურ ციხეში მოიყვანეს 13 ამხანაგი, რასაკვირველია, ეს არ გულისხმობდა, რომ ისინი არ იქნებოდენ დემონსტრანტთა რიგებში. ციხე „პავიაკში“ ინტერნაციონალის სიმღერამ შესაფერი გამოძახილი გამოიწვია ცენტრალურ ციხეშიც.

დილა ადრიან 13 ამხანაგი გაიყვანეს სასეირნოდ, ხოლო ყველა დანარჩენ საკნების კარები ჩაკეტეს. ეზოში ამხანაგები გამწკრივდენ, გაიკეთეს წითელი ბანტები და ერთი ამხანაგთაგანი გამოვიდა რიგიდან და წარმოსთქვა სიტყვა, რის შემდეგაც გაისმა ლოზუნგები.

ამ დროს ციხის მთავარმა ზედამხედველმა უბრძანა ამხანაგებს დაბრუნებულიყვნენ საკანში, რაც მათ, პროტესტის განცხადებით შეასრულეს. საკანში დაბრუნებისას მათ ახლავდა 10 ზედამხედველი. საკანში დაბრუნების შემდეგ ამხანაგები მივიდნენ ქუჩის მხრის ფანჯარასთან და მღეროდნენ „ინტერნაციონალს“, შემდეგ სხვადასხვა ამხანაგებმა წარმოსთქვეს სიტყვები საპირველმაისო პირველ მაისობის ზეიმის მოგონებებისა და მისი, როგორც წარსულში ისე ამჟამინდელ პოლიტიკურ მნიშვნელობის შესახებ.

რევოლიუციონურ ლოზუნგების სეირნობის დროს წარმოთქმის გამო ადმინისტრაციამ ამხანაგებს მოუსპო სეირნობა სალამოობით.

## წერილი რადომიდან წითელ დახმარებას

ჩვენ საპატიმროში 43 პატიმარია, აქედან 3 ქალი, 8 გასამართლებული და 35 გამოძიების ქვეშ მყოფია. ფაშისტური ციხის ადმინისტრაციამ საუკეთესო ამხანაგები გამოჰყო და მოათავსა ცალკე კორპუსში. საერთოდ ციხის ადმინისტრაცია ყოველი ხაბიჯის გადადგმაზე გვიმასპინძლდება ტერორით. მრავალჯერ გვცემენ. რამოდენიმე ამხანაგი ჩასვეს კარცერში (15-10—1928 წ.). ეს მოხდა მას შემდეგ, როდესაც ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ უხეშ მოპყრობისათვის. ტერორმა ისეთი პირობები შექმნა ჩვენთვის, რომ დილით და საღამოობით სწარმოებს ჩვენი თვლითი გადასინჯვა. მიუხედავათ ხსენებულის საწინააღმდეგო განუწყვეტელ ბრძოლისა, ჩვენ ვერ მივაღწიეთ, პოლიტპატიმრებისათვის დამამცირებელ, გადათვლის გაუქმებას. ჩვენი ბრძოლა და პროტესტები ამაოთ ხდებიან ცემასთან, კარცერებთან და ციხე ვრონკასთან ციხის ადამინისტრაცია გვიკრძალავს სანოვაგის ერთ განყოფილებიდან მეორეში გადაგზავნას. ჩვენთან არ უშვებენ ისეთ გაზითებსაც კი, როგორიც არის მაგალითად, სოციალ-ფაშისტური გაზეთი „მეურნეობის მუშური მიმოხილვა“ („რაბოჩი შპეგოლონდ გოსპოდარჩი“, ან „პოლონეთის თავისუფლება“) („პოლსკა ვოლნოსტი“). საერთოდ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ციხის ადმინისტრაცია გვაშინებს ტერორით და დაგვცინის ჩვენ, მაგრამ ყოველივე ეს ჩვენ არ შეგვარყევს. აქაც საკნებში და ციხის ქვის კედლებში, ჩვენ მტკიცედ და ურყევად ვდგევართ პოლონეთის და მთელი მსოფლიოს რევოლიუციონერთა რიგებში, მთელი მსოფლიოს ქალაქის და სოფლის პროლეტარიატთან ერთად (მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ თავისუფლებას აღკვეთილნი ვართ) ჩვენ ვებრძვით ფაშიზმს და სოციალ-ფაშიზმს, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის ემზადება. ჩვენ ვიბრძვით მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ჩვენ ვერ მოგვდრეკს ვერც ციხე, ვერც ფაშისტური ტერორი, ჩვენ თქვენთანა ვართ თავისუფლებაში მყოფო ამხანაგო მუშებო.

მიიღეთ სალამი ყველამ, ვინც ებრძვის საერთაშორისო ფაშიზმს.

სალამი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს.

გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს.

ძირს ფაშიზმი და ტერორი.

ძირს სოციალ-ფაშისტები.

გაუმარჯოს საბჭოთა სოც. რესპ. კავშირს.

რადომი, ციხე, 25-3 1930 წ.

**რადომის პოლიტპატიმრები.**

## სიმართლე ამხ. ლიაპონზე

უკვე ერთმა წელიწადმა განვლო ამხ. ლიაპონის სიკვდილის შემდეგ, რომელიც გაწვალებული იყო ციხე **ვრონკაში** და რომლის სიკვდილიც მოწმობს პოლიტპატიმრების მიმართ შემოღებულ ფაშისტურ ტერორის სისტემას. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცით სრული სიმართლე იმ ტრაგედიის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ვრონკის ციხის საცალო საკანში, რადგანაც ცენტრალურ ციხეში მყოფ სისხლის სამართლის პატიმარმა რომან სტეფანსკიმ ჩვენს ამხანაგებს განუცხადა, რომ ლიაპონის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გაცილებით ტრაგიკული ყოფილა, ვიდრე ამას დღემდე ვფიქრობდით, ეს ამტკიცებს, რომ ამხ. ლიაპონს სცემეს და მისთვის საბედისწერო დღეს იგი გადაიყვანეს კარცერში. სტეფანსკიმ აცნობა თურმე ზემოხსენებული ფაქტები პროკურატურას რაც სრულიად უშედეგოთ იქნა დატოვებული, ლიაპონის სიკვდილის დღეს სტეფანსკი თურმე სამსახურის მოვალეობას ასრულებდა ვრონკის ციხის საავადმყოფოში და მისი განცხადების სინამდვილის დასამტკიცებლად სტეფანსკი ამბობს, რომ მას შეუძლია მიუთითოს სხვა მოწმეებზედაც—სანიტარზე და ზედამხედველებზე. „ჩუმათ სამარესთან“ აი ფაშისტური ხელისუფლების ნაკაზი ამ ბოროტი საქმის მიმართ.

## ცენტრალურ ციხის კულისებში

პირველ მაისის წინ პავიაკიდან ცენტრალურ ციხეში პოლიტპატიმრების მასიური გადაყვანის გარდა ციხის და საპროკურორო ხელისუფლება ამწყვდევენ ხსენებულ ციხეში აგრეთვე ამხანაგებს, რომლების მოცი-

ლება სურთ მუშების თვალთახედვიდან ან და მათთვის ზედმეტი სასჯელის მისაყენებლად.

პატიმრობა ცენტრალურ ციხეში ნამდვილად საშინელ სასჯელს და პატიმრების იზოლაციის ახალ საშუალებას წარმოადგენს, ხოლო პატიმრობის პირობები ხომ სრულიად დამამტანჯველია. ესე ყო მაგალითად, მიმდინარე წელში ამხ. კრუმინსკის და პრეიბილსკის მიმართ, რომელნიც მოათავსენ პროვოკატორ კურჩესთან; ამგვარივე პროვოკაციის მოწყობის სურვილი ჰქონდათ აგრეთვე პავიაკიდან გადმოყვანილ რამოდენიმე ამხანაგის მიმართაც, რომლების საკანში შეუშვეს სისხლის სამართლის დამნაშავე, ვინმე ტომაშევსკი, როგორც ვითომდა პოლიტპატიმარი. ცენტრალურ ციხეში პოლიტპატიმრებს ათავსებენ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად. ამხ. მესინგერი, რომელსაც გარკვეული ბრალდება ჰქონდა წარდგენილი 102 მუხლის ძალით— სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად მოთავსებული, მათივე ტანისამოსში იყო ჩაცმული და ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული. შესაძლებელია ამხ. მესინგის ამდაგვარ „კონსპირაციის“ მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ გურეცკის პოლიციამ იმ ზომამდი სცემა, რომ ესინგი ერთი ყურით დაყრუვდა. ზემოხსენებულ პირობებში იყო აგრეთვე ამხ. პოსმანი და სხვა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ცენტრალურ ციხეში არსებულ პირობებს, რომლებიც გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხვა ციხეებში; განსაკუთრებით უვარესი ჭამა-სმა, ლოგინების უქონლობა და სხვა,—მაშინ აშკარა ხდება, რომ პოლიტპატიმრების ცენტრალურ ციხეში მოთავსება ან გადაყვანა წარმოადგენს ციხის ადმინისტრაციის ან საპროკურორო ხელისუფლებისათვის საუკეთესო და დახელოვნებულ რეპრესიას.

ამიტომ ჩვენ ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მოვითხოვოთ, რომ ცენტრალურ ციხეში არც ერთი პოლიტპატიმარი არ იყოს, ყველანი გადაყვანილნი იქნენ პავიაკში, რომელშიდაც ყველას ათავსებენ.

# თანხების ფოსტის საშუალებით ინკასაციაზე გადაყვანილი უჯრედების სია

(გაგრძელება*)

### ჭიათურის რაიონი

479. აღმასკომის არსებული უჯრედი.
470. სად. დარკვეთის ადგილკომთან.
481. პერევისა, თემსაბჭოსთან არს. უჯრედი.
482. ჭიათურა. პროფსკოლასთან არს. უჯრედი.
483. რგანი. პროფ. ინსტ. სახ. მაღარკომთან არსებული უჯრედი.
484. დარკვეთი. ამხ. სტალინის სახელობის მაღარკომთან.
485. წისქვილის თემსაბჭოსთან.
486. ჭიათურა, მაღალ ტიპის სკოლასთან.
487. მეჩხერა. ამხ. ფ. მახარაძის სახ. მაღარკომთან.
488. ჭიათურა შ.-ქ. ტ. კანტორა, ადგილკომთან.
489. ჭიათურა, საავადმყოფოს ადგილკომთან.
490. სოფ. კაცხის თემსაბჭოსთან.
491. ხრეითი, თემსაბჭოსთან.
492. ქარხანა № 2 ადგილკომთან. არსებული უჯრედი.
493. ჭიათურა 7 წლიანი სკოლასთან არსებული უჯრედი.
494. ჭიათურა, რაიმილიციასთან.
495. შუქრუთი. პ. სამ. მაღარკომთან.
496. შუქრუთი, მაღარკომი № 31 ადგილკომთან.
497. დიასახლის ქალთა უჯრედთან.
498. ჭიათურა, სახალხო კვების სამკითხველოსთან.

### ონის რაიონი

543. სოფ. ჯიორის უჯრედი
544. სოფ. უწერის უჯრედი.
545. სოფ. ღარის უჯრედი.
546. სოფ. საკაოს უჯრედი.
547. სოფ. მოედანის უჯრედი.
548. სოფ. სამიწოს უჯრედი.
549. სოფ. წკადისის უჯრედი.
551. სოფ. ზვარეთის უჯრედი.
552. სოფ. სევის უჯრედი.

### ცაგერის რაიონი

662. ქვედა ღვირიშის უჯრედი.
663. ნაკურალეშის უჯრედი.
664. ლაილაშის ქოხსამკითხველოსთან.
665. ბარდნალის კომკავშირის უჯრედთან.
666. ალვის კომკავშირის უჯრედთან.
668. ცხუკუშერის კოლმეურნეობის სკოლასთან.
669. ჭულბაქის 4 წლედთან.
670. ზუბის ქოხ-სამკითხველოსთან.

### სტალინისის (ხაშურის) რაიონი

438. მემანქანეთა უჯრედი.
439. სალიანდაგოს უჯრედი.
440. სარონოდო უჯრედი.
441. სამასალო შეკეთების უჯრედი.
442. მოძრაობის უჯრედი.
443. მიმდინარე შეკეთების უჯრედი
444. სახარატო უჯრედი.
445. მემუხრუჭეთა უჯრედი.
446. მცველთა უჯრედი.
447. ელბატის უჯრედი.
448. ქალთა ორგანიზაციის უჯრედი.
449. ქალაქის უჯრედი.
450. პროფსკოლის უჯრედი.
451. საბჭოსთან არსებული უჯრედი.
452. მილიციასთან არსებული უჯრედი.
453. საალმშენებლო კავშირთან არსებული უჯრედი.
454. ამწევ-შენის უჯრედი.
455. მესამე შრომის სკოლასთან არსებული უჯრედი.
456. გვირაბის უჯრედი.
457. ქვიშხეთის გლეხთა ახალგაზრდობის უჯრედი.

### ამბროლაურის რაიონი

599. ამბროლაურის შვიდ-წლედის უჯრედი.
600. ამბროლაურის კოლმეურნეობასთან არსებული უჯრედი.
601. სოფ. სხვავის შვიდ-წლედთან არსებ. უჯრედი.
602. სოფ. სხვავის კოლმეურნეობასთან არსებული უჯრ.
603. სოფ. კრისის კოლმეურნეობასთან არს. უჯრედი.

### თელავის რაიონი

1440. თელავის ათ-წლედის უჯრედი.
1441. 1-ლ 7-წლედთან არსებული უჯრედი.
1442. მეორე 7-წლედთან არსებული უჯრედი.

---

*) იხ. ჟურნალ „რემედას“-ის № 8—9.

1443. პედტეხნიკუმთან არსებული უჯრედი.
1444. გლეხ-ქალთა სკოლასთან არსებული უჯრედი.
1445. მაწანწრის უბანში არსებული უჯრედი.
1446. დელეგატ - ქალთა უჯრედი.
1447. პროფ. ტეხნიკუმის სკოლასთან არსებული უჯრედი.
1448. ძაფ-სახვევი ქარხნის უჯრედი.
1449. ძაფ-სახვევი ქარხნის მეორე უჯრედი.
1450. № ცხ. ათეულთან არსებული უჯრედი.
1451. განათლების მუშაკთა უჯრედი.
1452. მეტყავეთა უჯრედი.
1453. მიწა-ტყის მუშაკთა უჯრედი.
1454. საბჭოთა მუშაკების უჯრედი.
1455. მედსანშრომის უჯრედი.
1456. კომუნალურ მუშაკთა უჯრედი.
1457. ალმშენებელთა უჯრედი.
1458. პარტსკოლის უჯრედი.
1459. შინამრეწველ ხელოსანთა უჯრედი.
1460. № კონ ოტრ. უჯრედი.
1461. პიონერთა უჯრედი.
1462. სოფ. კურდღელაურის უჯრედი.
1463. სოფ. ვარდისუბნის უჯრედი.
1464. იყალთოს უჯრედი.
1465. წინანდალის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის უჯრედი.
1466. მალაურის უჯრედი.
1467. ნაფარეულის უჯრედი.
1468. დუმასტურის უჯრედი.

გაგრძელება იქნება

1469. ზემო-ალვანის უჯრედი.
1470. სოფ. სანიორის უჯრედი.

ლაგოდეხის რაიონი

1470. სოფ. ჭაბუკიანის უჯრედი.
1471. სოფ. განათლებას უჯრედი.
1472. სოფ. გურგენიანის უჯრედი.
1473. ლაგოდეხის ქართულ 7 წლედთან არსებული უჯრედი.
1474. ლაგოდეხის რუსულ 7 წლედთან არსებული უჯრედი.
1475. ლაგოდეხის უჯრედი.
1476. ლაგოდეხის მიწა-ტყის კავშირის უჯრედი.
1477. სოფ. შრომაში არსებული უჯრედი.
1478. სოფ. კავშირთან არსებული უჯრედი.
1479. სოფ. მანიმში არსებული უჯრედი.
1480. ს. ჩადუნიანში არსებული უჯრედი.
1481. სოფ. ბაისუბანში არსებული უჯრედი.
1482. სოფ. მსხალ-გორის უჯრედი.
1483. სოფ. ვარდისუბანში არსებული უჯრედი.
1484. სოფ. ყარსუბნის უჯრედი.
1485. შრომის სამეურნეო სკოლასთან არსებული უჯრედი.
1486. აფენის მიწა-ტყის კაოშირთან არსებული უჯრედი.
1487. სოფ. გიორგეთის უჯრედი.
1488. სოფ. ფონაში არსებული უჯრედი.
1489. სოფ. ხეჩილში არსებული უჯრედი.
1490. ს. არეშფერანის უჯრედი.
1491. აფენის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის უჯრედი.
1492. სოფ. აფენში არსებული უჯრედი.
1493. სოფ. ლელიანის უჯრედი.

(გაგრძელება იქნება)

# 1930—31 წ.წ. საბჭოემის არჩევნებში საქართველოს რემედასის ორგანიზაციების მონაწილეობის გეგმა

1. ცირკულიარული მიმართვა ყველა საოლქო და რაიონულ კომიტეტებისადმი არჩევნებში რემედასის ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ.

2. საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ, რემედასის ხასიათის, ბროშურის გამოცემა.

3. რემედასის ბრიგადების გამოყოფა და მათი დაგზავნა სოფლად, — საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

4. ყველა რაიონულ და საოლქო კონფერენციებსა და რესპუბლიკანურ ყრილობაზე გამოფენების მოწყობა: ა) რემედასის რიცხობრივ ზრდის, ბ) მასის ინტერნაციონალურად აღზრდის წრეების, გ) რემედასის კუთხეების, დ) საფინანსო - სამრეწველო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დამკვრელი ბრიგადების რაოდენობის, ე) რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად შეგროვილი თანხების, ვ) კაპიტალიზმთან ბრძოლაში დაცემულ მსხვერპლთა და სხვა დიაგრამების საშუალებით.

5. ყველა რაიონულ და საოლქო კონფერენციებზე და აგრეთვე რესპუბლიკანურ ყრილობაზე კამათში უნდა გამოვიდენ რემედასის წარმომადგენლები, რომლებმაც კონფერენციისა და ყრილობის ყურადღება უნდა მიაქციონ მასის ინტერნაციონალურად აღზრდის გაღრმავებისა და გაფართოების ღონისძიებათა აუცილებლობას და მიიღონ სათანადო ზომები, რათა კონფერენციებმა და ყრილობამ თავიანთ რეზოლიუციებში აღნიშნონ მასის ინტერნაციონალურად აღზრდის გაღრმავების აუცილებლობა.

6. რემედასის ძირითადი ორგანიზაციები, თავიანთი წარმომადგენლების გამოყოფით, უნდა დაუკავშირდენ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

7. ქალაქისა და სოფლის საბჭოების გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობის პრაქტიკული საკითხები წინასწარ გაშუქდეს რემედასის კომიტეტების პლენუმებზე, უჯრედების ბიუროებსა და აქტივთა კრებებზე.

8. რემედასის პრესაში და კედლის გაზეთებში გაშუქდეს საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები.

9. მოწვეულ იქნას რემედასის უჯრედების სპეციალური კრებები, სადაც ჩატარდეს სააგიტაციო-განმარტებითი მუშაობა საბჭოების გადარჩევის საკითხების ირგვლივ.

10. საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს მთავარ ლოზუნგათ წამოყენებულ იქნას: „ყოველი რემედასელი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საბჭოების გადარჩევაში".

11. თვითეული რემედასელი ხელს უნდა უწყობდეს შავსიელთა გამომჟღავნებას.

12. რემედასის ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ აქტიურ რემედასელთა კადრები სოფლად და ქალაქად

არჩევნების ირგვლივ სააგიტაციო მუშაობის გასაღრმავებლად.

13. რემედასელთა ფართო მასა უნდა გაეცნოს საბჭოების საარჩევნო მასალებს და შეაფასოს. თუ რამდენად გატარებულია ცხოვრებაში ძველი საბჭოებისადმი მიცემული ნაკაზი.

14. სოფლად ქოხ-სამკითხველოებსა და რემედასის კუთხეებში, ხოლო კლუბებსა, წითელ და რემედასის კუთხეებთან ფართე ახსნა - განმარტება მიეცეს:

ა) საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას, თეთრი ტერორის მოძრაობას, რევოლიუციისათვის მებრძოლთა მატერიალურ - მორალურ დახმარების საკითხებს, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აღმშენებლობის გავლენას კაპიტალისტურ ქვეყნებში სოციალისტურ მოძრაობის გაღვივების სფეროში. „ხუთწლედის — ოთხ წლედში“ შესრულების მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცებასა და ამ საკითხების გარშემო რემედასელთა მასის მობილიზაციას და სხვა.

15. აქტიური, საზოგადოებრივ მუშაობაში გამობრძმედილი რემედასელები პარტ-ორგანიზაციებსა და საარჩევნო კომისიებთან წინასწარ შეთანხმებით წამოყენებულ იქნან საბჭოების წევრთა კანდიდატებათ.

16. რემედასის კომიტეტების პლენუმებსა, უჯრედების ბიუროებსა და რემედასის აქტივისტთა კრებებზე ხაზი გაესვას საბჭოების სექციებში წევრთა მონაწილეობის უდიდეს მნიშვნელობას.

რემედასის საქ. ც. კ.

# რემედასის რაიონული ორგანიზაციების წესდება

რემედასისი რაიონული ორგანიზაციების ორგანოებია:

ა) რაიონული კონფერენცია.
ბ) რაიონული კომიტეტი და
გ) სარევიზიო კომისია

## 1. რაიონული კონფერენცია

1. რაიონულ კონფერენციას იწვევს რაიონული კომიტეტი — წელიწადში ერთხელ. რემედასისი საქ ცენტრ. კომიტეტთან. ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანში, აფხაზეთსა და სამხრეთ - ოსეთში კი —რემედასისი საოლქო კომიტეტთან შეთანხმებულ გეგმით და ვადაზე.

2. რაიონული კონფერენცია დგება ქალაქის და სოფლის უჯრედების მიერ არჩეულ წარმომადგენლებისაგან.

3. რაიონული კონფერენციის გამგებლობაში შედის·

ა) რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშგებათა და მოხსენებების განხილვა და დამტკიცება.

ბ) ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვა და დამტკიცება

გ) რაიონულ კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და სრ. საქ. რემედასის ყრილობის, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანში, აფხაზეთსა და სამხრეთ - ოსეთში — საოლქო კონფერენციების დელეგატების არჩევა.

4. კომიტეტის რაოდენობითი და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს კონფერენცია იმ ვარაუდით, რომ მასში შევიდენ უფრო მსხვილი საწარმოო, კოლ. და საბჭოთა მეურნეობების უჯრედების წარმომადგენლები.

## 2. რაიონული კომიტეტის მოვალეობანი:

5. ორგანიზაციულ - ფინანსიური:

ა) რემედასისი საქ. ც. კ-სა და ადგილობრივ კონფერენციების დადგენილება — დირექტივების შესრულება და უჯრედების მიერ მათი ცხოვრებაში გატარებაზე მეთვალყურეობა.

ბ) რემედასის წევრთა აქტიურად ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში.

გ) მუდმივი კავშირის დაჭერა პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებთან.

დ) ქალაქისა და სოფლის უჯრედების და აგრეთვე სარევიზო კომისიების ხელმძღვანელობის გაწევა, მათი რეგულიარულად გამოკვლევა და ინსტრუქციის მიცემა.

ე) ნახევარ - წლიური, საპერსპექტივო და კალენდარული გეგმის შედგენა და მისი ასრულება.

ვ) რემედასის უჯრედის წევრებისა და აქტივის აღრიცხვა.

გ) ინტერნაციონალური მოხსენებებისა და აქტივის აღრიცხვა.

ზ) ინტერნაციონალური მოხსენებების და რემედასის მიმდინარე მუშაობის საკითხების შესახებ თათბირის მოწყობა რემედასის ფართე აქტივის მონაწილეობით.

თ) რაიონული კონფერენიცების მოწვევა, წესების და წარმომადგენლობის განსაზღვრა ქვემდგომ ორგანიზაციებისა და კრებების ჩატარებაში.

ი) რაიონისათვის წლიური ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და ასეთის წარდგენა ზემდგომ კომიტეტში დასამტკიცებლად.

ლ) უჯრედების მიერ რემედასის საქ. ც. კ-ს მიმდინარე ანგარიშში თანხების დროზე შეტანაზე მეთვალყურეობა, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის მიმდინარე ანგარიშში თანხების შეტანაზე და მათ მიერ სადირექტივო ხარჯთ-აღრიცხვის შესრულებაზე მეთვალყურეობა

6. სააგიტაციო - საპროპაგანდო:

ა) რაიონის მშრომელთა ფართე მასაში რემედასის იდეის აგიტაცია-პროპაგანდა და რემედასის წევრთა შორის ინტერნაციონალურ - პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის გატარება.

ბ) თეთრი ტერორის წინააღმდეგ მიტინგებისა და საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობა, კამპანიების ჩატარება (18 მარტი, 1 მაისი, 1 აგვისტო და სხვ.).

გ) მასიურ სააგიტაციო მუშაობის ჩატარება ქალაქის კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, სახალხო სახლებსა და სხვა.

დ) სოფლის კულტურული ძალების (მასწავლებლების, აგრონომების, ექიმების) ჩაბმა აგიტპროპმუშაობაში.

ე) რემედასის მოღვაწეობის გაშუქება, როგორც ბეჭვდითი ორგანოებში, ისე წარმოების, ქარხნების. კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვ. კედლის გაზეთებში.

ვ) რემედასის მუშაობის გაშუქება, საერთოდ საბჭოთა პარტიულ და პროფესიონალურ პრესაში.

ზ) რემედასის წევრთათვის ახსნა-განმარტების მიცემა და გაცნობა პოლიტ - პატიმრების და მათი ოჯახის მდგომარეობისა და მათზე შეფობის აღების იდეის განმარტება.

ი) ქალთა ფართე მასაში რემედასის იდეის ჩანერგვის მიზნით, ქალთა სადელეგატო კრებების ფართეთ გამოყენება.

თ) კურსებისა და წრეების ჩამოყალიბება და მათ მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევა.

კ) აგიტპროფმუშაობის აღრიცხვა და მისი ფორმებისა და მეთოდების გატარების შესწავლა.

ლ) რაიონის ერთიან კულტმუშაობის გეგმასთან რემედასის მუშაობის დაკავშირება.

მ) რემედასის ც. კ-ს გამომცემლობიდან ლიტერატურის გამოწერის კამპანიის ორგანიზაცია.

## 3. რაიონული კომიტეტის შემადგენლობა და მისი წყობა:

7. აღნიშნულ ამოცანების განსახორციელებლად კომიტეტი თავის შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს 5—7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით, მათ შორის თავმჯდომარეს, მდივანსა და ხაზინადარს.

8. პრეზიდიუმი არის კომიტეტის აღმასრულებელი ორგანო და აწარმოებს მუშაობას პლენუმიდან პლენუმამდე. პრეზიდიუმი პასუხისმგებელია კომიტეტის პლენუმის, ხოლო კომიტეტი კი, მთლიანათ კონფერენციისა და რემადასის ზემდგომ ორგანოს წინაშე.

9. პრეზიდიუმის სხდომები სწარმოიბს არა უმეტეს ორი ჯერისა თვეში. პლენუმს იწვევს პრეზიდიუმი საჭიროების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ერთი ჯერისა სამ თვეში.

10. კომიტეტის ყველა წევრთა აქტიურ მუშაობაში ჩასაბმელად, მათ შორის მოვალეობის წესიერად გასანაწილებლად და უჯრედებზე ხელმძღვანელობის უკეთ გასაწევად კომიტეტის მთელი მუშაობა განიყოფა სამ სექტორად.

11. რაიონულ კომიტეტებში სექტორების როადენობა განისაზღვრება ადგილობრივ პირობებისა და არსებული აქტივის მიხედვით და ის არ უნდა აღემატებოდეს 5—7.

## 3. სექტორების საორგანიზაციო სქემა:

1. საორგანიზაციო - საინსტრუქტორო.
2. ფინანსიური.
3. წევრთა ზრდისა და აღრიცხვის.
4. პროპაგანდისა და კადრების.
5. პრესის.
6. შეფობის.
7. მასიური მუშაობის.
8. ახ. სექციების.

12. სექციები წარმოადგენენ კომიტეტის დამხმარე ორგანოებს. ისინი თავიანთ მუშაობას აწარმოებენ საზოგადოებრივობის პრინციპზე, მუშაობაში, ნებაყოფლობითი წესით საბაზო კომიტეტების — აქტივისა და უჯრედების ჩაბმით.

13. სექტორების მუშაობაზე ხელმძღვანელობა ევალება კომიტეტების წევრთა შემადგენლობიდან გამოყოფილ ორგანიზატორებს და ის პასუხისმგებელია სექტორის მუშაობაში.

14. სექტორი თავის მუშაობას აწარმოებს მუშაობის ცალკე საკითხების ირგვლივ ბრიგადების ჩამოყალიბებით.

სექტორში ყოველმხრივ პასუხისმგებელნი არიან კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, თავიანთ მუშაობას აწარმოებენ ურთი - ერთ შრომის შეთანხმებით შედგენილი მუშაობის გეგმის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია პრეზიდიუმის აქტივის მიერ.

15. თავიანთ მუშაობის შესახებ სექტორები ანგარიშს ურდგენენ კომიტეტის პრეზიდიუს სამ თვეში ერთხელ. სექტორების გადაწყვეტილებებს ადასტურებს პრეზიდიუმი.

## 4. საორგანიზაციო - საინსტრუქტორო სექტორის მოვალეებანი:

ა) ორგანიზაციულ საკითხების შესახებ კომიტეტის დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

ბ) საბაზო კომიტეტებისა და უჯრედების გამოკვლევა და ინსტრუქციის მიცემა.

ვ) კომიტეტების ნახევარწლიური სამუშაო გეგმის დამუშავება.

## 5. საფინანსო სექტორის მოვალეობანი

ა) რაიონის შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვის წინასწარი განხილვა და ასეთების თავისი დასკვნით დროზე წარდგენა პრეზიდიუმზე — დასამტკიცებლად.

ბ) უჯრედების მიერ ანარიცხებისა და სხვა თანხების დროზე აკრებისა და ასეთების ზემდგომ კომიტეტში გადაგზავნისადმი მეთვალყურეობა.

გ) უჯრედების დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ ღონისძიებათა დამუშავება.

დ) თანხების შემოსავლის გადიდების შესახებ ღონისძიებათა დამუშავება და მათი გატარება ცხოვრებაში.

## 6. წევრთა ზრდისა და აღრიცხვის სექტორის მოვალეობანი

ა) უჯრედებში წევრთა აღრიცხვის დაყენება სისტემატიური ხელმძღვანელობა და მათზე მეთვალყურეობა.

ბ) ორგანიზაციის ზრდის შედეგების თავის დროზე შეჯამება.

გ) შესწავლა იმისა, თუ მშრომელთა რომელი ფენის ანგარიშზე გაიზარდა ორგანიზაცია და, ეგუება თუ არა რემედასის წევრთა სოციალური დაჯგუფება ჩვენს ძირითად დირექტივებსა და ამოცანებს.

დ) რაიონში და შორეულ უჯრედებში თვალსაჩინო ცვალებადობის შემთხვევის ადგილობრივად შესწავლა და მასთან ბრძოლის საშუალებათა გამონახვა.

ე) წევრთა ზრდისა და აღრიცხვის სექტორი, ორგანიზაციის რაოდენობისა და შემადგენლობის (წევრთა ახალი მომატება თანდათანობითი დაკლება და სხვა) შესახებ, მასალების დაგროვებისა და ცვალებადობის მიზეზების შესწავლის შესახებ—მოხსენებას უკეთებს კომიტეტის პრეზიდიუმს.

ვ) პრეზიდიუმის დამტკიცების შემდეგ წელიწადში ერთხელ რემედასის ცენტრალურ კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადაზე სექტორი აგზავნის საინფორმაციო ცნობას ორგანიზაციის ზრდის შესახებ ზემდგომ კომიტეტში.

## 7. პროპაგანდისა და კადრების სექტორის მოვალეობანი

ა) ქალაქად — მსხვილ წარმოებებთან, ხოლო სოფლად კი — საბჭოთა და მსხვილ კოლმეურნეობებთან უჯრედის აქტივის მოსამზადებელი წრეებისა და კურსები ჩამოყალიბება.

ბ) აგიტატორებისა, პროპაგანდისტების, ადგილობრივ კედლის გაზეთებისა და საერთოდ პრესისათვის თეთრი ტერორისა და რემედასის მუშაობის შესახებ მასალების შერჩევა.

გ) მჭიდრო კავშირის დაჭერა კულტგანყოფილებასთან, პოლიტგანათლების განყოფილებასთან და ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირთან, რემედასის მუშაობის საკითხების შესატანათ მათ პროგრამაში.

დ) სოფლისა და ქალაქის აქტივის კულტურულ ძალებისაგან პროპაგანდისტთა კადრების შერჩევა.

ვ) უჯრედების აქტივისაგან წრეებისა და კურსების მსმენელთა, განსაკუთრებით უპარტიო მუშების, წითელ არმიელების, კოლმეურნეების და ერთეულ ღარიბ გლეხების შემადგენლობიდან შერჩევა.

ვ) საპროპაგანდო მუშაობის და კურს დამთავრებულთა აღრიცხვა. წრეები და კურსდამთავრებულთა

შომაგრება და პრაქტიკულ მუშაობაში მათი გამოყენება.

ზ) საბაზრო კომიტეტების უჯრედებში წევრთა უფრო კვალიფიციურ აქტივის (აგიტატორების, პროპაგანდისტების და ორგანიზატორების) აღრიცხვა.

## 8. პრესის სექტორის მოვალეობანი

პრესის სექტორი თავის მუშაობას უნდა აწარმოებდეს ორი მიმართულებით:

**მკითხველთა ხაზით:** რემედასის და სხვა, ინტერნაციონალური საკითხების შესახებ გამოცემული ლიტერატურის პოპულიარიზაცია, მასიური წაკითხვა, საუბრები. დისპუტები. ვიტრინების მოწყობა, ამა თუ იმ ლიტერატურის შეფასებით, ახალად გამოსული ლიტერატურის სარეკომენდაციო ფურცლები და სხვა. მკითხველ მასის აზრის გამომჟღავნება. რემედასის ხასიათის ლიტერატურაზე ინდივიდუალურ ხელისმოწერის გაფართოების აგიტაცია.

**კორესპონდენტების ხაზით:** კავშირი ადგილობრივ და ცენტრალური ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებთან. რემედასის მუშაობის საკითხების კედლისა და დაბეჭდილ გაზეთებში გაშუქება. კორესპონდენტთა კადრებისა და მათგან ბრიგადების შექმნა. მუშაობის ცალკე ნაწილების სუსტი მდგომარეობის, კარგი მუშაობის გამოცდილებათა შესწავლა და მისი პრესის საშუალებით სხვა ორგანიზაციებში გადატანა.

ყოველი რაიონი უნდა ცდილობდეს თავისი საუკეთესო კორესპონდენტს კავშირი ჰქონდეს რემედასის ცენტრალურ ბეჭდვითი ორგანოებთან, როგორიცაა: ჟურნალ „რემედას" და აგრეთვე რემედასის საკავშირო ც. კ-ს ორგანოები: „პუტ მოპრა" და „სპუტნიკ მოპროვცა".

## 9. საშეფო სექტორის მოვალეობანი

1. რემედასის ორგანიზაციათა შორის საშეფო ციხეების განაწილება და აგრეთვე კავშირის გზმა საბჭოთა კავშირის რემედასსა და საზღვარგარეთელ ორგანიზაციებს შორის.

2. ძირითად ორგანიზაციებზე საშეფო წერილების შედგენისა და მისი გადაგზავნის შესახებ ინსტრუქციების მიცემა.

3. საბავშო სახლებზე, პოლიტპატიმრებსა და მათ ოჯახებზე შეფობის საკითხების პოპულიარიზაცია.

4. შეკრება და გადაგზავნა უჯრედ[...] საშეფო ციხეებში არსებული რეჟიმისა და ცხოვრების პირობების, აგრეთვე მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს საშეფო ციხე.

## 10. მასიური სექტორის მოვალეობანი

ა) მასიურ კამპანიების ჩატარების გეგმის დამუშავება.

ბ) აგიტატორთა კადრების შერჩევა და მათი გამოყენება, როგორც რაიონის მასშტაბით, ისე უჯრედებში.

გ) საპროტესტო დემონსტრაციებისა და მიტინგების ორგანიზაცია.

დ) კლუბების სახალხო სახლების, ქოხ - სამკითხველოებისა და სხვა კულტმუშაობის გეგმაში რემედასის მასიურ მუშაობის შეტანა.

ე) უჯრედებისადმი ხელის შეწყობა და დახმარების აღმოჩენა (კონსპექტის ინსტრუქციისა და მასალების მიცემით, რემედასის კუთხეების მოწყობის ორომ).

## 11. ახალგაზრდათა და ბავშთა შორის მუშაობის სექციის მოვალეობანი

1. ახალგაზრდათა და ბავშთა შორის მთელი მუშაობის გაერთიანება რაიონში.

2. პროპაგანდის სექტორთან ერთად ახალგაზრდათა და ბავშთა ინტერნაციონალურად აღზრდის კურსების მოწყობა.

3. რემედასის ახალგაზრდათა მეგობართა (რამის) წრეების მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა.

4. საერთაშორისო ახალგაზრდათა დღის და საერთაშორისო ბავშთა კვირეულისა და ყველა მასიურ კამპანიების ჩატარებაში მონაწილეობა.

5. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა და ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება და მათ მიერ წარმოებულ ინტერნაციონალურ მუშაობაში მონაწილეობა.

6. ახალგაზრდობისა და რემედასელებისაგან დამკვრელ ბრიგადების გამოყოფა რაიკომებისათვის დასახმარებლად, გამოკვლევების კამპანიების და სხვათა ჩატარების დროს.

7 ქალაქის უჯრედებისადმი ხელის შეწყობა სოფლის საბჭოთა და კოლმეურნეობის ახალგაზრდათა და ბავშთა შორის მუშაობის გასაშლელად.

8. კავშირის გზმა რემედასის ბავშთა სახლებთან.

## 12. სარევიზიო კომისია

24. სარევიზიო კომისია ირჩევა რაიონულ კონფერენციაზე სამი წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

25 სარევიზიო კომისია აწარმოებს კომიტეტის, როგორც მთელი ფინანსიურ საქმიანობის, ისე ცალკე სექტორებისა და პრეზიდიუმის მუშაობის გამოკვლევას.

26. სარევიზიო კომისია აწარმოებს კომიტეტის მუშაობის გამოკვლევას თავის შეხედულებებისამებრ, მაგრამ არა უმეტეს ერთი ჯერისა ორ თვეში.

27. გამოკვლევის ქმნას, მითითებებთან ერთად, შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად, სარევიზიო კომისიები უოდგენენ არა მარტო რაიონულ კომიტეტებს, არამედ რემედასის საქ. ც.კ.-საც. ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აფხაზეთში, აჭარისტანსა და სამხრეთ-ოსეთში რემედასის საოლქო კომიტეტებს.

28. სარევიზიო კომისია — რევიზიის დამთავრების შემდეგ რევიზიის შედეგების შესახებ მოხსენებას აკეთებს პრეზიდიუმის სხდომაზე, პლენუმზე და უჯრედების აქტივის გაფართოებულ კრებაზე.

29. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან კომისიის სხდომებსა და კომიტეტის პლენუმებს სათათბირო ხმის უფლებით.

30. სარევიზიო კომისიები, თავიანთი მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს ურდენენ კონფერენციებსა და რემედასის საქ. ც.კ.-ს, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანში, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში რემედასის საოლქო კომიტეტებს.

## 13. ანგარიშ-გებათა კავშირის წესი

31. ხელმძღვანელობის შემსუბუქებისა და გამოცდილების გამოყენების მიზნით, რაიონული კომიტეტი ურდგენს რემედასის საქ. ც.კ.-ს, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანში, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში რემედასის საოლქო კომიტეტებს. ცალკე საკითხების გარშემო, რომელსაც კომიტეტი ღებულობს სექტორების პასუხისმგებელ ორგანიზატორებისაგან მიღებულ საინფორმა-

ციო ცნობებს და რომელიც შეთანხმებულია პრეზიდიუმთან.

32. ცნობები დგება:

ა) [illegible], რომელსაც აქვს განსაზღვრული დრო, როგორიც არის: უჯრედებისა და კომიტეტის გადარჩევა სტატისტიკური ანგარიშების შედგენა განსაზღვრულ ვადაზე.

ბ) ყოველდღიურ სისტემატიურ მუშაობას და ახალი მასალების დაგროვების მიხედვით.

33. რაიონული კომიტეტი ადგენს რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო ავტონომიურ ოლქებში :აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთსა და აჭარისტანში რემედასის საოლქო კომიტეტში, გარდა თემატიურ ინფორმაციულ ცნობებისა:

ა) პრეზიდიუმის, პლენუმების და კონფერენციების ოქმებს და სარევიზიო კომისიის წლიურ ანგარიშგებას.

ბ) უჯრედების მიმართ თავისი მნიშვნელოვან დირექტივების ასლებს.

34. რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტთან, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აფხაზეთში, აჭარისტანსა და სამხრეთ ოსეთში კავშირი, რემედასის კომიტეტთან დამყარებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად:

ა) რემედასის ც. კ-ში, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანში, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში, ოლქკომში— წარმომადგენელთა მივლინებით ადგილებზე — გამოსაკვლევად და ინსტრუქციის მისაცემათ.

ბ) რემედასის ც. კ-ში, ხოლო ავტონომიურ ოლქებში: აჭარისტანის, აფხაზეთსა და სამხრეთ - ოსეთში — ოლქკომში წარმომადგენლის წარგზავნით მუშაობის შესახებ მოხსენების წარსადგენათ და

გ) მიწერ-მოწერის საშუალებით.

35. რაიონული კომიტეტი მიმართავს ყოველგვარ ღონისძიებას უჯრედებსა და საბაზო კომიტეტებთან ცოცხალი კავშირის დასაჭერათ, კომიტეტის წევრთა მივლინებით, ბრიგადების გაგზავნით, შევებულთა გამოყენებითა და სხვა.

36. კომიტეტები ყოველგვარ ღონისძიებას ღებულობენ თავისი რაიონის პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად.

37. მასებთან კავშირის განსამტკიცებლად კომიტეტები და სარევიზიო კომისიები ვალდებულნი არიან ანგარიში წარუდგინონ თავიანთ მუშაობის შესახებ რემედასის წევრთა კრებებსა და კონფერენციებს.

**რემედასის საქართ. ცენტრ. კომიტეტი.**

# საქ. რემედასის ყველა რაიკომებს

სახსრების ფოსტის საშუალებით საინკასაციო სისტემაზე გადასვლის ინსტრუქციის თანახმად რაიკომების ყველა მომუშავეები რემედასის საქ. ც.კ. მეშვეობით ხელფასით კმაყოფაზე გადადიან და კმაყოფილდებიან ყოველ დამდეგი თვის 1-ლ და 15 ძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად უმთავრეს პირობად ითვლებოდა სახსრების ინკასაციის სიტემაზე გადასვლა ისეთი ვარაუდით, რომ ხსენებული სისტემის განხორციელება უნდა დამთავრებულიყო ოქტომბრის 2 თვის. რემედასის ც. კ-ს ბუჰხალტერიის ცნობების თანახმად ეს დავალება შეასრულა მხოლოდ რემედასის სამტრედიის ორგანიზაციამ. მან ა.-წ. აგვისტოს 1-დან აგვისტოს 15-დე გადმოუგზავნა ც. კ-ს 407 მანეთი. რემედასის ყველა დანარჩენი ორგანიზაციები კი შესამჩნევათ ჩამორჩენ მას.

რემედასისი ც. კ-ი გატყობინებთ, რომ ოქტომბრის 1-დან ც. კ-ს კმაყოფაზე გადაყვანილია მხოლოდ სამტრედიის რაიკომი და რაიკომის მდივანს ამხ. გაბუნიას საქ. რემედასის ც.კ-ს დავალებების ზუსტათ ასრულებისათვის გამოეცხადა მადლობა. რაც შეეხება დანარჩენ რაიკომებს — მათი ც. კ-ს კმაყოფაზე გადაყვანა — იძულებული ვართ გადავდოთ მათ მიერ სალსრების საინკასაციო სისტემით გადმოგზავნის საქმის განხორცელებამდე. ამავე დროს, რემედასის ც. კ-ი კატეგორიულ წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს და პერსონალურ პასუხისმგებლობის ქვეშ ყველა მდივნებს, რომ ა.-წ. დეკემბრის 1-მდე განახორციელონ მთელი ორგანიზაციის საინკასაციო სისტემაზე გადასვლა. იმ რაკომების მიმართ, რომლიებიც გულგრილობას გამოიჩინენ და შეაფერხებენ ამ მნიშვნელოვან და უდიდეს რეფორმას, მიღებული იქნება სასტიკი ზომები. რემედასის ხელმძღვანელ სამუშაოდან მოხსნის და რაიონულ კომიტეტების დაშლის მეშვეობით, როგორც მთელი ორგანიზაციის, ისე პერსონალურად — ხელმძღვანელ ამხანაგების რემედასის რესპუბლიკანურ შავ დაფაზე აღნუსხვით.

რემედასის ც. კ.-ს თავმჯდომარის
მოადგილე: **დ. ნასარიძე.**

# ქ რ ო ნ ი კ ა

რემედასის ცენ. კომ. თავმჯდომარე ამხ. **შამშე ლეჟავა** ჩავიდა ბათომსა და სამტრედიაში, სადაც გაეცნო რემედასის ორგანიზაციების მუშაობას და მისცა მათ სათანადო მითითება.

რემედასისი ც. კ-ს ინსტრუქტორმა ამხ. **რუბენ გიორგაძემ** ამ დღეებში დაამთავრა: ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, გარე - კახეთის, თელავის, ყვარელის, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიკოების გამოკვლევა.

ამჟამად აღნიშნულ რაიონებში რემედასის მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლებულია.

რემედასის ც. კ-ს ინსტრუქტორმა ამხ. **ძიძიგურმა** მოახდინა: ბორჩალოს ლიუქსემბურგის, ბაშკიჩეთის და ალბულალის რაიკომების გამოკვლევა.

13. ოქტომბერს მოხდა რემედასის ქუთაისის აქტივის საქალაქო კრება, რომელზედაც, რემედასის ც. კ-ს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **დავით ნასარიძემ** გააკეთა ვრცელი მოხსენება: საერთაშორისო მდგომარეობისა და რემედასის ამოცანების შესახებ.

16 ოქტომბერს ქალ. ჭიათურაში ჩავიდა რემედასისი ც. კ-ს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **დ. ნასარიძე**, რომელიც გაეცნო რემედასის რაიკომის მუშაობას და მისცა მას სათანადო მითითებები.

## ამოსწერით და ჩააკერეთ საქმეში სახელმძღვანელოდ

# რემედასის ყველა უჯრედებს

### ინსტრუქცია რემედასის უჯრედების მიერ შეგროვილი თანხების გადაგზავნისა

რემედასის ყველა უჯრედები ვალდებულნი არიან, უკლებლივ, მთელი თანხები გადაგზავნონ ცენტრში საფოსტო უწყების საშუალებით. ფულის გადაგზევნის სხვა რაიმე ოპერაციები დანარჩენი უწყების საშუალებით (შემნახველი სალარო და სხვა) უჯრედისათვის ყოვლად დაუშვებელია.

რემედასის ყველა უჯრედები თანხებს უშუალოდ უგზავნიან რემედასის ც. კ.-ს. ფულის გადაგზავნა სწარმოებს თვით რაიონული კომიტეტის მიერ მიღებული განსაკუთრებული სახის ფულ-ბარათების საშუალებით.

გამომცემლობის მასალების საფასური იგზავნება ჩვეულებრივის წესით.

გადასაგზავნი თანხის ჩაბარების დროს, მიმღები ჩვეულებრივ ხელწერილთან ერთად იძლევა საწევრო წიგნაკებს გადასაგზავნი ტალონის მეორე გვერდზე აღნიშნული, პირველი მუხლის რაოდენობისას და საწევრო წიგნაკებს ხოლო რამელთა ბარათებს, ამავე ტალონის მეორე და მასამე მუხლში ნაჩვენები რაოდენობისას.

კატეგორიულად აკრძალულია საწევრო მარკების, წიგნაკებისა და რამელთა ბარათების გაცემა ფოსტაში გადასაგზავნი ფულის ჩაბარებამდე.

რემედასის უჯრედის წარმომადგენელი აძლევს ფოსტის მოხელეს ხელწერილს საწევრო მარკების, წიგნაკებისა და რამელთა ბარათების მიღების დასადასტურებლად, რომელიც უნდა აღინიშნოს გადასააგზავნი ბლანკების ზემო მხარეზე.

რემედასის გადაგზავნების მიღების დაჩქარების მიზნით უჯრედის წარმომადგენელი ამ ხელწერილს ამზადებს წინასწარ და აძლევს ფოსტის მოხელეს გადასაგზავნი ფულ-ბარათისა და ფულთან ერთად. ამასთანავე ერთად ასეთი ხელწერილი გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგზავნბა მარკების, საწევრო წიგნაკებისა და რამელთა ბილეთების საფასური. სხვა სახის შემოსავალთა (ნებაყოფლობითი ანარიცხები, შემოწირულებანი და სხვა) გადაგზავნის დროს ფოსტის მოხელე უჯრედის წარმომადგენელს არავითარ ხელწრილს არ აძლევს. ამ შემთხვევაში ხელწერილის ბლანკი გადაგზავნის გადაცემამდე რჩება რემედასის უჯრედში, რომელიც ინახავს მას რემედასის ც. კ-ს განსაკუთრებული მითითების თანახმად უზრუნველყოფილ მდგომარეობაში.

რემედასის უჯრედიდან გადაცემები მიიღება უსასყიდლოთ, საფოსტო გამოსაღების გადაუხდევინებლად.

რემედასის უჯრედებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააგროვონ თანხები ადგილობრივად, ისინი ვალდებულნი არიან ასეთები შეკრებისთანავე გადაგზავნონ. დანიშნულებისამებრ, რემედასის საქ. ც.კ. მიმდინარე ანგარიშზე მიუხედავათ თანხების სიმცირისა.

რემედასის საქ. ც. კომიტეტი

## საქ. პროფსაბჭოს და კომკავშირის ცეკას მოწოდებიდან

ძვირფასო ამხანაგებო!

რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის საქ. ცენტრალური კომიტეტი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით 15—25 ოქტომბრამდე ატარებს რემედასის ტრადიციულ—დეკადას.

რემედასის დეკადის ჩასატარებლად გამოყოფილია რესპუბლიკანური მთავარი კომიტეტი ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც უკვე დაუგზავნა საქართველოს რემედასის ყველა ორგანიზაციას სათანადო გეგმა და სადირექტივო წერილი.

ამ დეკადამ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს მშრომელ მასაში რევოლიუციონური ენტუზიაზმი და დარაზმოს იგი იმ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომელსაც ატარებს საქართველოს რემედასი, როგორც კომუნისტური პარტიის დამხმარე საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

რემედასის დეკადა მიზნათ ისახავს — ორგანიზაციის რიცხვობრივად ზრდას, მშრომელთა ახალი ფენების მასში ჩაბმით, ძირითად უჯრედებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობას, საზღვარგარეთ მოძმე ორგანიზაციებსა და საშეფო ციხეებთან კავშირის განმტკიცებას. ფართო აგიტაციის გაშლას: „ხუთწლედის — 4 წელიწადში“ შესასრულებლად, რემედასის წევრთა სოციალისტურ აღმშენებლობაში ფართოდ ჩასაბმელად, რემედასის მატერიალურ ბაზის გასაძლიერებლად და კაპიტალის საპყრობილეებში გამომწყვდეულ პოლიტპატიმრებისა და მათ უმწეოდ დარჩენილ ოჯახის წევრთათვის მატერიალური დახმარების ფართედ აღმოჩენას.

ამხანაგებო, პროფკავშირისა და კომკავშირის წევრებო!

ეს არ არის მარტო რემედასელების საქმე, არამედ ეს შეადგენს ყველა ჩვენთაგანის რევოლიუციონურ მოვალეობას. ამ დიდსა და საპატიო საქმიანობაში ფართოდ უნდა ჩაებან ყველა ორგანიზაციები, პირველ რიგში კი პროფკავშირის და კომკავშირის წევრები.

გაუმარჯოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აღმშენებლობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

საქ. პროფ. საბჭოს თავმჯდომარე—მაჩაიძე.

ახ. ლენ. კომ. კავშ. ც. კ-ს მდივანი—ბუჯიაშვილი.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი.

რედაქტორი: შამშე ლეჟავა.

ფასი 20 კაპ.

# გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

# 1930 რემედას 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საპყრობილეებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

## ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| ერთი თვით . . . . . . . . . . 20 კაპ. | ექვსი თვით . . . . . . . 1 მ. 15 კაპ. |
| სამი თვით . . . . . . . . . . 60 „ | ცხრა თვით . . . . . . . 1 „ 70 „ |
| | ერთი წლით . . . . . . . 2 „ 20 „ |

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასეული, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და ბეჭვდითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს. როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, რაიონულ კომიტეტებსა და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს

**რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.**

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა: „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 2310. ტირაჟი 10.000